140
1975

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

1
1975

ელექტრონული ბიბლიოთეკა




# ახალი წელი

**იოსებ გრიშაშვილი**

კრემლის საათმა დაჰკრა თორმეტი,
გადმოგვაყარა სხივები მწველი,
სიხარულს გავზრდით დღეს უფრო მეტად,
რომ ვასახელოთ ახალი წელი.

გარეთ თოვლია, და თეთრი ფიფქი
ჰგავს დაგასმულად ნაქსოვ ჩიქილას.
ახალის განცდით, ახალი ფიქრით
შევხვდეთ, ბალღებო, ახალ წლის დილას

ერთ რამესა გთხოვთ წრფელად, გულსავსედ,
ერთი რამე მაქვს შესახვეწელი:
ხუთქიმიანი ვარსკვლავის მსგავსად,
ხუთიანებით აგევსოთ წელი.

ი. გორშკოვი

# ლენინი, გენიოსი, უბრალო ადამიანი



ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი.

მოგონება

ილიჩის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ბევრზე ბევრია მოთხრობაც, მოგონებაც. ზოგჯერ ფიქრობ ხოლმე კაცი, მის შესახებ უკვე ყველაფერი დაიწერა, ყველაფერი ნაამბობია. მაგრამ, რასაკვირველია, ეს ასე არ არის. ლენინს ყველა თავისებურად იგონებს, ცნობილ ამბავს რაღაც ახალს უმატებს და ასე იქმნება ჩვენი რევოლუციის გენიალური ბელადისა და ამავე დროს ახლობელი, უბრალო, გულითადი ადამიანის შესანიშნავი მთლიანი სახე.

ლენინი პირველად 1917 წელს, პეტროგრადში ვნახე. პეტროგრადში ჩავედი ლატვიის პატარა ქალაქ ვალკიდან, სადაც იმხანად ჩვენი მეთორმეტე არმია იდგა. არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დამავალა, გამეგო რა ხდებოდა რევოლუციის ქალაქში, ხომ არ სჭირდებოდა მას მეთორმეტე არმიის მებრძოლთა მხარდაჭერა. ვიმგზავრე მატარებლის კარსელსა თუ ბუფერებზე მდგარმა და ერთთავად ფხიზლად ვიყავი, რათა კერენსკის გადამღობი რაზმების ბრჭყალებში არ მოვქცეულიყავი.

პიტერში ჩასვლისთანავე გავიგე, რომ ზამთრის სასახლე იერიშით აუღიათ, დროებითი მთავრობის წევრები დაპატიმრებული არიან, ხოლო სმოლნში მეორე დღეა საბჭოების ყრილობა მუშაობს.

„მივდივარ ყრილობაზე!“ — გადავწყვიტე და ფეხით გადავკვეთე მთელი ქალაქი.

აი, სმოლნიც. იქვე მოედანზე ჯარისკაცები, მეზღვაურები, იარაღასხმული მუშები ირევიან. მახსოვს, მთავარი შესასვლელის კიბეზე რომ ავდიოდი, ერთ-ერთ სამხედროს ვკითხე:

— როგორ მოვხვდე ყრილობაზე?

— საიდანა ხარ? — დაინტერესდა იგი.

— ფრონტიდან.

— თუ ასეა, მარცხნივ წადი, საშვებს მოგცემენ.

კომენდანტმა გადაათვალიერა ჩემი საბუთები და მომცა საშვები.

ასე მოვხვდი საბჭოების II ყრილობაზე. ის კი არა და, სიტყვითაც კი გამოვედი.

— მეთორმეტე არმია, — განვაცხადე ტრიბუნიდან, — მტკიცედ დგას რევოლუციის მხარეზე და მის მონაპოვრებს დაიცავს ცხრადიუმიანი ქვემეხებით.

---

ი. ნ. გორშკოვი, წარსულში მუშა-მემალაროე, შემდეგ საბჭოთა მუშაკი იყო.

შემდეგ პრეზიდიუმის მაგიდასთან მივედი და განაპირას მჯდომ კაცს მივმართე:

— ძალიან მინდა ამხანაგ ლენინის ნახვა.

— ლენინი ამჟამად სახკომსაბჭოს სხდომას ატარებს, — მითხრა მან და ამიხსნა, როგორ მეპოვნა ოთახი, სადაც ვლადიმერ ილიას ძე იმყოფებოდა.

დიდხანს ვიარე დერეფნებში, სანამ მივაგნებდი სახკომსაბჭოს სხდომათა დარბაზს. სხდომის მიმდინარეობისას შიგ შესვლა ვერ გავბედე, ამიტომ გადავწყვიტე შესვენებამდე მომეცადა. ფანჯარასთან გავჩერდი და თავი ფიქრებს მივეცი. მალე ოთახიდან დაბალი ტანის, მხარბეჭიანი, მელოტი კაცი გამოვიდა, ორივე ხელი ჟილეტის სახელოთა ჭრილებში გაეყარა და ჩემს ახლოს ბოლთის ცემა დაიწყო. დავაპირე მეკითხა, შესვენება მალე დაიწყება თუ არა-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე.

უცებ დერეფანში საინჟინრო ჯარის ოფიცერი გამოჩნდა, ქუსლი ქუსლს მიარტყა და ხმამაღლა თქვა:

— ვლადიმერ ილიჩ, მე ჯავშნიანი დივიზიონის მეთაურად დამნიშნეს, მაგრამ ბენზინს არ მაძლევენ...

„ლენინი?“ — თითქოს მეხი დამეცაო. ის კაცი კი, დერეფანში რომ წყნარად მიდი-მოდიოდა, ოფიცრის წინ გაჩერდა, სერიოზული სახით მიაჩერდა და ჰკითხა:

— თქვენ ბოლშევიკი ხართ?

— დიახ.

— მაშ წადით და თვითონ აიღეთ ბენზინი.

— არის, ამხანაგო ლენინ!

ისე ვიყავი გაოგნებული ამ მოულოდნელი შეხვედრით, ილიჩის ქცევის უბრალოებით, რომ ენა გამიშეშდა. ლენინი კი ენერგიულად მიტრიალდა და სწრაფად შევიდა ოთახში.

მეორედ ვლადიმერ ილიას ძეს 1918 წელს შევხვდი. საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობაზე ელცის მაზრის მშრომელთა დელეგატად ვიყავი მოსკოვში ჩამოსული.

ყრილობა დაიწყო 4 ივლისს, დიდ თეატრში. მე პარტერის ერთ-ერთ პირველ რიგში ვიჯექი. ლაპლაპი გაუდიოდა მოოქროვილ ლოჟებს, ბზინავდა ღია-ჟოლოსფერი სავარძლები. ირგვლივ ხმაური იდგა — ერთმანეთს ესაუბრებოდნენ ყრილობის დელეგატები: — მუშები, გლეხები, ჯარისკაცები. უეცრად ზარი აწკრიალდა. ხმაური მინელდა. თავმჯდომარემ წყნარი ხმით წარმოთქვა:

—... საბჭოების სრულიად რუსეთის მეხუთე ყრილობას გახსნილად ვაცხადებ.

თავმჯდომარე—იაკობ მიხეილის ძე სვერდლოვი იყო.

5 ივლისს სახალხო კომისართა საბჭოს საქმიანობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ვ. ი. ლენინი. მისი გამოჩენისთანავე ათასხმოვანმა „ვაშამ“ იქუხა. ლენინი მოთმინებით იცდიდა, როდის დაწყნარდებოდა დარბაზი. ბოლოს, ნაბიჯი გადმოდგა, ტრიბუნასთან მივიდა და ხელი ასწია. მყისვე სიჩუმე ჩამოვარდა.

ილიჩი ოდნავ წინ გადმოიხარა და ლაპარაკი დაიწყო. ლაპარაკობდა შთაგონებით, უბრალოდ, მძლავრად და შთამბეჭდავად. მოხსენებაში ლაპარაკი იყო ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობაზე, იმ სიძნელეებზე, რასაც საბჭოთა ქვეყანა განიცდიდა; და რომ მტრები, მენშევიკები და ესერები, ბოლშევიკებს დანაშაულად უთვლიდნენ ბრესტის ზავის დადებას; ისინი აცხადებდნენ: ბოლშევიკებმა ძალაუფლება კი ჩაიგდეს ხელში, მაგრამ მისი მართვა არ ძალუძთო; ამტკიცებდნენ, თითქოს ჩვენ ვერ გადავჭრიდით სახელმწიფოებრივ ამოცანებს. ლენინმა გააცამტვერა ეს ოპორტუნისტული ბრალდებები და დაგვანახა, რომ ჩვენთვის ხელსაყრელი ვითარება იქმნებოდა, რომ „ბრესტში დადებული ზავის სისწორე დაამტკიცა მოვლენების მთელმა მსვლელობამ“.

ამის შემდეგ ილიჩმა დაგვანახა, რომ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს, მიუხედავად უზარმაზარი სიძნელეებისა, რომელთა შესახებაც პარტია დაუფარავად ლაპარაკობს, გააჩნია ჯანსაღი ორგანიზმის ჯანსაღი ყლორტები. მიმდინარეობს მრეწველობისა და სხვა დარგების აღორძინება, რაც თავის დადებით შედეგებს იძლევა.

ბოლოს, ლენინმა ილაპარაკა სასურსათო საკითხის მნიშვნელობაზე, რასაც პარტია და მთავრობა მთავარ ყურადღებას უთმობენ; ილაპარაკა ქალაქისა და სოფლის ღარიბ-დატაკთა მჭიდრო კავშირის აუცილებლობაზე, სოციალიზმის მშენებლობისადმი კულაკთა გააფთრებულ წინააღმდეგობაზე.

— ეჭვის ნასახიც კი არ არის, — თქვა დასასრულ ვლადიმერ ილიას ძემ, — რომ, თუ ვივლით არჩეული გზით და საშუალებას არ მივცემთ არც ფრაზებს, არც ილუზიებს, არც ტყუილებს, არც ისტერიკას — სწორი გზიდან გადაგვახვევინონ, მსოფლიოში უდიდესი შანსი გვაქვს განვმტკიცდეთ და გავამარჯვებინოთ სოციალიზმს რუსეთში...

შესვენებისას სცენაზე გამომიძახეს. ჩემს გვერდით ვლადიმერ ილიას ძემ გაიარა. ეტყობა, ჩვენს საუბარს ყური მოჰკრა და დაინტერესებული ახლოს მოვიდა. როცა გაიგო, რომ ელციდან ვიყავი ჩამოსული, ყურადღებით შემომხედა და მკითხა:

— თქვენ ამხანაგი გორშკოვი ხართ ხომ? — და ხელი გამომიწოდა.

მართალი გითხრათ, ცოტა შევკრთი კიდეც, ხელი უხერხულად ჩამოვართვი და დავუდასტურე: „დიახ, გორშკოვი ვარ“, გულში კი გავიფიქრე: „საიდან მიცნობს ვლადიმერ ილიას ძე?“

ილიჩმა კი განაგრძო:

— ძალიან მინდა დაწვრილებით გავიგო, როგორ მიდის თქვენთან საქმეები. მაგრამ ამჟამად ბევრი დრო არა მაქვს. აი, რა, — თქვა თვალების მოჭუტვით, —მოდით ჩემთან ხვალ დილით, ყრილობის დაწყებამდე. შევთანხმდეთ: მოხვალთ თორმეტ საათზე, ქაღალდის ფურცელზე დაწერთ, რომ ელციდან ჩამოსული გორშკოვი ხართ, კონვერტზე კი — პირადად ჩემთვის. წერილი მორიგეს გადაეცით.

რა მოუთმენლად ველოდი იმ ბედნიერი დღის გათენებას! ვიჯექი ყრილობაზე და ვფიქრობდი: „რას შემეკითხება ლენინი და რას ვუამბობ მას?“ საღამოს, ყრილობიდან რომ გამოვედი აღგზნებული, გადავწყვიტე მოვემზადებულიყავ ბელადთან საუბრისათვის, ჩემი აზრები ქაღალდზე ჩამომეწერა. ლამის გათენებამდე ვუჯექი მაგიდას.

კრემლისკენ ძალზე აღელვებული გავემართე. 6 ივლისი იყო. ლურჯ ცაზე ღრუბლის ფთილაც კი არ ჩანდა.


პიონერი

1 იანვარი 1975

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ზაფხულის მზე ალერსიანად გვაფრქვევდა სხივებს. ის იყო წითელ მოედანზე გამოვედი, რომ ჩვენი კირილკინი, იმხანად ელცის აღმასკომის გარაჟის გამგე შემომეყარა. გაკვირვებულმა ვკითხე:

— ივან ტარასოვიჩ, როგორ მოხვდი აქ?!

— შენ დაგეძებდი, — მიპასუხა. — ჩვენთან ხმა მოვიდა, მოსკოვში ორი ათასი სატვირთო ავტომობილი ჩამოუტანიათო საზღვარგარეთიდან. ვიფიქრე, მოდი ვცდით, იქნებ ვიშოვოთ, ჰა?

როცა გაიგო, რომ ლენინთან მივდიოდი, უფრო ამეკიდა, მომყვებოდა გვერდით და ერთსა და იმავეს ჩამჩიჩინებდა:

— თუნდაც ორიოდე მანქანა, გესმის?

კაბინეტში რომ შევდიოდი, ლენინი მაგიდას უჯდა და შუბლშეჭმუხვნილი რაღაც წერილს კითხულობდა. როგორც კი დამინახა, სწრაფად წამოდგა და შემომეგება. ღიმილით ჩამომართვა ხელი.

— გამარჯობათ, ამხანაგო გორშკოვ! აი, აგერ დაბრძანდით, — მიმითითა მაგიდასთან მიდგმულ სავარძელზე.

თვითონ მსუბუქად გაიარა ოთახში, თავის სავარძელში მოხერხებულად მოეწყო და ძალიან წყნარი ხმით დამიწყო გამოკითხვა: რამდენი ხანია, რაც პარტიის წევრი ვარ, ბევრი მუშაობა მიწევს თუ არა, როგორ მიდის საქმეები მაზრაში.

— გავიგე, რომ თქვენ იქ შესანიშნავად ჩაგიტარებიათ ადგილობრივი ბურჟუაზიის ჩხრეკა. მიამბეთ, გეთაყვა, როგორ მოახერხეთ ეს, — მითხრა ვლადიმერ ილიას ძემ.

გამოგიტყდებით, საუბრის დაწყებისას საკმაოდ ვღელავდი, მაგრამ სულ მალე ძალიან თავისუფლად ვიგრძენი თავი. აი, ასე თავაზიანად, გულითადად ექცეოდა ადამიანებს დიდი ბელადი.

ვუამბე ლენინს, რომ დაბა არგამაჩში კონტრრევოლუციური აჯანყების ჩაქრობის შემდეგ გადავწყვიტეთ, პროლეტარიატის დიქტატურა განგვეხორციელებინა, ომიანობის დროის კანონებით გვემოქმედნა. დავიწყეთ ბურჟუების ჩხრეკა, ვართმევდით გადამალულ იარაღს, პურს, ტანსაცმლის მარაგს. ყოველივე ამას საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს ვაბარებდით. მთელ ქალაქში ჩხრეკა ერთ ღამეში დავამთავრეთ. ამისათვის შევქმენით სამეულები და მათში ყველაზე საიმედო ადამიანები შევიყვანეთ, რომლებიც არც ქრთამს აიღებდნენ და არც არავის დაარბევ-ააწიოკებდნენ.

— ძალიან კარგია, — მოიწონა ლენინმა. — ახლა ეს მითხარით, როგორ მოახერხეთ მაზრაში ყველა სკოლის შეკეთება, სად იშოვეთ საშენი მასალა?

— ცოტ-ცოტაობით შევაგროვეთ, ვლადიმერ ილიჩ, —მივუგე მე და ვუამბე, თუ რამდენი ვეძებეთ, ისევ ბურჟუებთან და კულაკებთან, მინა, ლურსმანი, საღებავები და სხვა საშენი მასალები. ყველაფერი ეს ჩამოვართვით მათ და საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებით სკოლის შენობათა შეკეთებას მოვახმარეთ, განსაკუთრებით — სოფლად.

— ის რა სანიმუშო მეურნეობები გაქვთ სოფლებში? — განაგრძო ილიჩმა გამოკითხვა.

ამაზეც ვუამბე. მემამულეები რომ განვდევნეთ, უღარიბესმა გლეხებმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გადაწყვიტეს მემამულეთა მიწების ბაზაზე შეექმნათ თოთხმეტი სანიმუშო მეურნეობა. მათ დირექტორებად საუკეთესო ამხანაგები აირჩიეს და შეუდგნენ მეურნეობის მოწესრიგებას.

— და არ ძარცვავენ მემამულეთა მამულებს? — იკითხა ვლადიმერ ილიას ძემ.

— მათ იცავენ.

— ვინ?

— თვითონ გლეხები.

ლენინს ძალიან მოეწონა სანიმუშო მეურნეობებში საქმის ასე წარმართვა. მათში მაშინვე დაინახა მომავალი საბჭოთა მეურნეობების პროტოტიპი და რჩევა მოგვცა, გამუდმებით განგვემტკიცებინა ეს მეურნეობები.

საუბრის დასასრულს ლენინი წამოდგა და ბოლთის ცემა დაიწყო. შემდეგ წინ გამიჩერდა, თვალები ეშმაკურად მოჭუტა და შემეკითხა:

— პური თუ გაქვთ? თუ შესძლებთ რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოვში თუნდაც ერთი ეშელონის გამოგზავნას? ბავშვებს არა ჰყოფნით.

წუთით დავფიქრდი, მერე მტკიცედ მივუგე:

— შევძლებთ.

— მაინც როგორ მოაგვარებთ ამ საქმეს?

— გლეხებს, რა თქმა უნდა, პურს არ ჩამოვართმევთ,— განვუცხადე მე, — რაიმეზე მისი გადაცვლა კი შეიძლება. აი, მაგალითად, მანუფაქტურაზე, გუთნებზე, ფარცხებზე, თუჯის ქვაბებზე და სხვა საყოფაცხოვრებო საგნებზე.

— შეიძლება ავეჯზეც, — სწრაფად ჩაილაპარაკა ლენინმა.

ამ დროს ჩემი წუხანდელი ნაწერი მომაგონდა: იგი სრულებით ზედმეტი იყო ჩვენი უბრალო, გულღია საუბრისას. გამახსენდა კირილკინის თხოვნაც. დარცხვენით ვთქვი:

— ვლადიმერ ილიჩ, ერთი სათხოვარი მაქვს...

— რა?

— მოგვეცით ორიოდე პაკარდი.

— რაო, თქვენს ბურჟუებს არა აქვთ?

— აქვთ, მაგრამ ისინი მსუბუქი მანქანებია.

— კეთილი, მოგცემთ ორ მანქანას სანაცვლოდ, — თქვა ილიჩმა და გულიანად გაიცინა.

ჩვენი საუბარი ამით დასრულდა. ლენინმა რჩევა მომცა აუცილებლად მივსულიყავი გაზეთ „პრავდას" რედაქციაში, თან წერილი გამატანა. მახსოვს, წერილში ეწერა: „გთხოვთ დაწვრილებით ესაუბროთ ელცის წარმომადგენელს და ჩაიწეროთ მისი ნაამბობი „პრავდისათვის".

წერილი რომ გადმომცა, ვლადიმერ ილიას ძემ მითხრა:

— ნახვამდის, ამხანაგო გორშკოვ! გადაეცით ჩემი სალამი ელცელ ბოლშევიკებს.

და ხელი მაგრად ჩამომართვა. ბელადის ხელის სითბოს აქამდე ინახავს ჩემი მარჯვენა.

მაზრაში ჩემი დაბრუნებიდან ხუთი დღის შემდეგ ელცში ჩამოვიდა მიწათმოქმედების მაშინდელი სახალხო კომისარი ს. პ. სერედა და თან მთელი ეშელონი ჩამოიტანა გლეხური ყოფისათვის საჭირო საგნებისა. შევკრიბეთ ბოლშევიკები, შევადგინეთ კომისია-სამეულები და სოფლებში დავგზავნეთ. ისინი გლეხებს ესაუბრებოდნენ ქვეყნის მძიმე მდგომარეობაზე, დამშეულ მოსკოვზე. ლენინის მიერ გამოგზავნილ ქალაქის საქონელს გადასაცვლელ პუნქტებში პურზე სცვლიდნენ. ელცელმა ბოლშევიკებმა შეასრულეს ლენინის დავალება: მოსკოვში ორი ეშელონი პური გაიგზავნა.

შევასრულეთ ლენინის მითითებაც სანიმუშო მეურნეობათა განმტკიცების შესახებ.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი წელი გავიდა, მაგრამ ჩემს ხსოვნაში ცოცხალი დარჩა ლენინი: დიდი, ახლობელი, უბრალო ადამიანი.

თარგმნა ს. ბეჩოლმა.

## « სალუტი, გამარჯვება! »

### ისმინოს „პიონერის“ ყველა მკითხველმა!

### გრძელდება ვიქტორინა — კონკურსი „ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების 30 წლისთავი“

### ვაქვეყნებთ მესამე ეტაპის კითხვებს

17. ჯარის რომელი ახალი სახეობა შეიქმნა საბჭოთა არმიაში ომის შემდგომ წლებში? ვინ იყო მისი პირველი მეთაური?

18 დაასახელეთ საბჭოთა სამხედრო ტექნიკის წამყვანი კონსტრუქტორები.

19. რა იცით ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელ საბჭოთა კავშირის გმირებზე? დაგვისახელეთ ისინი და მოკლედ გვიამბეთ, სად და როგორ გამოიჩინეს თავი.

20. სამამულო ომის თემაზე შექმნილი რომელი წიგნები წაგიკითხავთ? რომელი უფრო მოგწონთ? რომელი წიგნის გმირისათვის გინდოდათ მიგებაძათ?

21. სამამულო ომზე შექმნილმა რომელმა ფილმმა მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

22. რომელ ქალაქშია სამახსოვრო მუზეუმად შენახული ომის დროს დანგრეული სახლი? რა ჰქვია მას? რა იცით ამ ბრძოლის შესახებ?

23. რომელი სახელმწიფოები გაათავისუფლა ჩვენმა არმიამ ფაშიზმის უღლისაგან?

24. ვინ აღმართა გამარჯვების დროშა რაიხსტაგზე?

კონკურსის პირობები და პირველი ეტაპის კითხვები იხ. „პიონერი“ № 11. 1974 წ. მეორე ეტაპის კითხვები გამოქვეყნდა „პიონერის“ № 12-ში.

ისმინოს „პიონერის“ ყველა მკითხველმა ცხადდება ვიქტორინა-კონკურსი!

გამარჯვებულებს ელით სიგელები და ჯილდოები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მზია ხეთაგური**

მხატვარი
**თ. ხუციშვილი**

# ზურიკოს წყარო

მ ო თ ხ რ ო ბ ა



იყო და არა იყო რა...

არა, „იყო და არა იყო რა“ კი არა, როგორც ზღაპრებშია ხოლმე, მართლა იყო ერთი ბიჭი, რომელსაც ზურიკო ერქვა. დიდეზოიან სახლში ცხოვრობდა და სხვა ბავშვებთან ერთად სკოლაში სწავლობდა. ხან ხუთებს იღებდა, ხან ოთხებს. შიგადაშიგ სამებსაც გამოურევდა, მაგრამ ეს ისე იშვიათად ხდებოდა, რომ არც ღირს ამაზე ლაპარაკი. უყვარდა ფეხბურთი და გაკვეთილების შემდეგ ეზოს ბიჭებთან გატაცებით თამაშობდა.

ერთ დღეს ზურიკოს კლასი ექსკურსიაზე წაიყვანეს. ბავშვებმა ნახეს ქალაქის მოწინავე ადამიანთა საპატიო დაფა, ომში დაღუპულთა ძეგლი და შინმოუსვლელთა პატივსაცემად ანთებული მარადიული ცეცხლი.

— საპატიო დაფაზე იმ ადამიანების სურათებია გაკრული, რომლებიც ხელს უწყობენ ჩვენი ქალაქის წინსვლას, წარმატებას აღწევენ შრომაში, — უთხრა ბავშვებს კლასის დამრიგებელმა თინა მასწავლებელმა.

— მასწავლებელო, საპატიო დაფაზე მოსწავლის სურათიც შეიძლება გაიკრას? — იკითხა ზაზამ. ყველას გაეცინა.

— მოსწავლეთა საპატიო დაფა სკოლაში გვაქვს, — კლასის დამრიგებლის მაგივრად უპასუხა მარინემ.

— გზა მიეცით ღირსეულ ადამიანებს! — დაცინვით ჩაულაპარაკა ზურიკომ თანაკლასელებს და ნოდარსა და მარინეზე მიუთითა.

— შენც გახდი ფრიადოსანი და მოხვდები საპატიო დაფაზე! — ეწყინა მარინეს.

— სულაც არ მჭირდება ფრიადოსნობა. ისედაც მაფასებს ჩვენი ეზო.

— საპატიო დაფაზე მაინც ვერ იხილავ შენს სურათს!

— ჩვენს ეზოში საპატიოც ვარ და უფრო მეტიც!

— ფეხბურთის თამაშის გარდა, რას აკეთებ ჩვენი ეზოსთვის?

— შენი საქმე არ არის! — აპილპილდა ზურიკო.

... ეს იყო და ეს. ზურიკომ გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, რაიმე ახალი მოეფიქრებინა თავისი ეზოს გასაოცებლად. წარმოიდგინა, როგორ გაუფართოვდებოდა თვალები მარინეს, როცა უზარმაზარ ეზოში ზურიკოს სურათს ნახავდა. ეჰ, რომ არსებობდეს ეზოს, ქუჩის ან უბნის საპატიო დაფა! ეს კი უკვე იმათ უნდა მოიფიქრონ, ვინც ზურიკოს ნახელავით გაოცდება და მის საქციელს მისაბაძად გახდის. მაშ როგორ, თვითონ ხომ არ ეტყვის, პატივი მეცითო! მერე კი... მერე, იქნებ, ქალაქის საპატიო დაფაზეც კი მოხვდეს.

ზურიკომ ჯერ გარკვევით არ იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა სახელის მოსახვეჭად, მაგრამ თავი უსათუოდ უნდა გამოეჩინა. მორჩა და გათავდა!

მეორე დღიდან დაიწყო ზურიკოს მოუსვენარი ცხოვრება: სკოლიდან მოსვლისთანავე გაკვეთილებს მიაშაბათებდა, სადღაც გარბოდა, მოჰქონდა აგურები, ქვები და სარდაფში მალავდა: ერთი კვირის შემდეგ ზურიკომ ეზოში ონკანთან ჩხირკედელაობა დაიწყო.

— წამოდი ჩქარა, მე-18 ნომრის ეზოს ბიჭებს ფეხბურთს ვეთამაშებით,—დაუძახა ერთ დღეს შრომაში გართულ ზურიკოს შოთამ.

— არა მცალია, — წაიბურტყუნა ზურიკომ.

— რაო?! — გაოცებისაგან პირი დააღო შოთამ.

— რაც გაიგონე, — უპასუხა ზურიკომ და საქმე განაგრძო.

— გაგიჟდი? უშენოდ როგორ უნდა ვეთამაშოთ!

— ჰოო? — ესიამოვნა ზურიკოს.

— რას აკეთებ? — დაინტერესდა შოთა.

— არაფერს.

— მაშ ეს რა არის?

— ისე, ვერთობი. წადი, წადი, ხელს ნუ მიშლი.

შოთამ ხელი ჩაიქნია და გაეცალა. სულ მალე ზურიკოს გარშემო ბიჭებმა მოიყარეს თავი.

— რას აკეთებ?

— ფეხბურთის თამაში არ გინდა?

— გვითხარი მაინც, რასა თხრი,— არ ასვენებდნენ ამხანაგები.

— კარგი, ჰო, — შეჰყვირა ზურიკომ, — მოვდივარ.

გახარებულმა ბიჭებმა ყიჟინა დასცეს და ზურიკო თითქმის ხელში აყვანილი გააქანეს...

ზურიკო დღენიადაგ მუშაობდა ეზოში, ონკანთან. ფეხბურთს იშვიათად თამაშობდა და საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთხელ მე-18 ნომრის ეზომ გაიმარჯვა. ამაზე დიდი შერცხვენა მე-20 ნომრის ეზოსათვის წარმოუდგენელი იყო. ზურიკო კი თითქოს არცა წუხდა. ბოლოს უფროსებიც დაინტერესდნენ ზურიკოს საქმიანობით... ბავშვები მის გარშემო ტრიალებდნენ და ეხვეწებოდნენ, ჩვენც გაგვაკეთებინე რამეო. ზურიკო, როგორც იქნა, მოლბა და ბავშვებს ნება მისცა მონაწილეობა მიეღოთ აუზის აშენებაში. მთელი ეზო გატაცებით მუშაობდა. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს ეზოში გაჩნდა ლამაზად მოპირკეთებული პატარა აუზი. შუაში შადრევანი ამოჩქეფდა...

უსაზღვრო იყო ეზოს ბავშვების სიხარული.

— ასეთი კარგი თაოსნობისათვის ზურიკო ნამდვილად მადლობის ღირსია. მოდით, რაიმე მოვიფიქროთ, რომ ისიც ჩვენი მადლობელი დარჩეს,—თქვა შოთამ.

— ყვავილები მივართვათ!

— ყვავილები რად უნდა!

— მაშ, რაიმე საჩუქარი ვუყიდოთ!

— წავიდეთ, თვითონ ზურიკოს ვკითხოთ, — მოიფიქრა ბოლოს ქეთინომ. მეოთხე სართულზე კარი ზურიკოს დედამ გააღო.

— დეიდა, ზურიკო გვინდა...

ამ დროს ზურიკომაც გამოიხედა.

— ყოჩაღ! — უთხრა შოთამ და ხელი მაგრად ჩამოართვა.

ზურიკომ მხრები აიჩეჩა—აქაოდა, ნაადრევიაო.

— ჯერ არ დამთავრებულა საქმე. ამ საღამოსაც წავიმუშავებ...

— მაშინ ხვალ მოგილოცავთ!

— თქვენი ნებაა, — უპასუხა ზურიკომ.

ბავშვებმა გადაწყვიტეს, თაიგულთან ერთად ზურიკოსთვის საჩუქარიც ეყიდათ...

გათენდა კვირა დღე. როგორც შეთანხმდნენ, გოგო-ბიჭები აუზთან შეიკრიბნენ, უცბად გურამმა შოთას ხელი წაჰკრა:

— შეხედე, — უთხრა და აუზის მოპირკეთებული კიდისკენ გაიშვირა ხელი. ყველამ დაინახა წარწერა: „ზურიკოს წყარო".

— უყურე, ასოები აგურის ნატეხებით არის გამოყვანილი...

— ვინ დააწერა?

— ალბათ ზურიკომ...

— უთუოდ ამაზე ამბობდა გუშინ, ჯერ არ დამიმთავრებიაო...

— კი მაგრამ, ჩვენ ხომ ყველამ ვიმუშავეთ!

— განა ყველას არ გვეკუთვნის? — ერთმანეთს ეკითხებოდნენ და უკვე მერამდენედ კითხულობდნენ ორად ორ სიტყვას: „ზურიკოს წყარო". მერე სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ერთბაშად გამოელიათო სათქმელი და ბავშვები უხმოდ წავიდწამოვიდნენ...

ზურიკო, პირობის თანახმად, ზუსტად თერთმეტ საათზე მივიდა აუზთან. მაგრამ იქ არავინ დაუხვდა. იყო მხოლოდ ბავშვების მიერ მიტოვებული საჩუქრის ყუთი უზარმაზარი თაიგულით, და მისი განმადიდებელი წარწერა: „ზურიკოს წყარო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან:

ეს რეპორტაჟი მხოლოდ ერთ გაკვეთილზე გიამბობთ, მაგრამ სამართლისმცოდნეობის გაკვეთილზე დასწრებამ, მოსწავლეებთან გასაუბრებამ დაგვარწმუნა, რაოდენ დიდია ინტერესი საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების გაცნობისადმი.

ამ ინტერესს ადასტურებს რედაქციაში შემოსული წერილებიც.

მოსწავლეთა სამართლებრივ აღზრდას დღეს ჩვენი პარტია და მთავრობა მოზარდთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის, მათში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის დამკვიდრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად სახავენ. ამდენად, ცხადია, ვერც საყმაწვილო პრესა აუვლის გვერდს ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს,

ჟურნალ „პიონერის" რედაქცია ამ ნომრიდან იწყებს ახალ განყოფილებას — „სამართლისმცოდნეობის ფაკულტატივი", რომელიც ძირითადად თქვენს წერილებზე იმუშავებს.

თქვენს შეკითხვებს უპასუხებენ სპეციალისტები — იურისტები.

# ტარდება ექსპერიმენტი!

ზარი დაირეკა.

თბილისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის 51-ე საშუალო სკოლის აჟრიამულებული დერეფნები მიწყნარდა.

გაკვეთილი დაიწყო.

მეცხრე კლასში გაკვეთილს ატარებს იურისტი სირინოზ პეტრიაშვილი.

გაკვეთილის თემაა: სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები.

მოსწავლეები ყურადღებით უსმენენ მასწავლებელს, დასმულ კითხვებზე სწრაფად და აზრიანად უპასუხებენ.

მასწავლებელი კმაყოფილია.

სამართლისმცოდნეობა მეორე წელია ფაკულტატურ საგნად ისწავლება საქართველოს ზოგიერთ სკოლაში.

ყველა მოქალაქე ვალდებულია იცნობდეს იმ ქვეყნის კანონმდებლობის საფუძვლებს, სადაც ცხოვრობს.

ვის შეუძლია სკოლაზე უკეთესად მო-



# ყველა მოქალაქე ვალდებულია

ახერხოს ახალგაზრდების სამართლებრივი აღზრდა?

ჯერჯერობით ეს საგანი ახალია, მაგრამ, ვფიქრობთ, მალე დაიმკვიდრებს ადგილს ჩვენს სკოლებში.

გთავაზობთ რეპორტაჟს გაკვეთილიდან.

●

მასწავლებელმა სია ამოიკითხა.

გაკვეთილი, ჩვეულებრივ, განვლილი მასალის გამოკითხვით არ დაუწყია.

— ბავშვებო, რამდენიმე ხანია თქვენ ამ საგანს სწავლობთ. როგორ გგონიათ, საჭიროა თუ არა იგი თქვენთვის? — დასვა ზოგადი შეკითხვა მასწავლებელმა.

—რასაკვირველია, საჭიროა! — ერთხმად უპასუხებენ მოსწავლეები.

— აბა, ზურაბ, მითხარი, რას გაძლევს შენ ამ საგნის ცოდნა?

— საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების შესწავლა საშუალებას გვაძლევს კარგად გავერკვეთ მიმდინარე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში, ვიცოდეთ, რა უფლებები გვაქვს და რა მოვალეობა გვაკისრია; ვიცოდეთ, რა არის აკრძალული, თანამდებობის პირის რომელი მოთხოვნა და ქცევაა კანონიერი და შესასრულებელი და რომელი — უსაფუძვლო და უკანონო. როგორია საბჭოთა კანონმდებლობა და როგორ ტარდება იგი ცხოვრებაში.

მასწავლებელი ახლა უკვე სთავაზობს კლასს გასული მასალის გამეორებას.

კლასი აქტიურობს. ყველას სურს უპასუხოს კითხვებზე: რა არის სამართალი?

მაია მარდალეიშვილი: სამართალი არის გაბატონებული კლასის ნება-სურვილის გამომხატველი ქცევის წესების, ანუ ნორმების ერთობლიობა, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი იძულებით.

მოსწავლეებმა გაიხსენეს, რომ საბჭოთა სოციალისტური სამართლის დარგებია: საბჭოთა სახელმწიფო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, საფინანსო სამართალი, სამოქალაქო სამართალი, შრომის სამართალი, მიწის სამართალი, საკოლმეურნეო სამართალი, სისხლის სამართალი და საპროცესო სამართალი; რომ კანონი ეწოდება სახელმწიფოში უმაღლესი ორგანოს მიერ მნიშვნელოვან საკითხზე გამოცემულ აქტს მთელი ქვეყნისათვის, და რომ არსებობს კანონების გამოცემის განსაკუთრებული წესი.

ინეზა ზანგულაშვილმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა, რომ სოციალისტურ კანონიერებას უწოდებენ საბჭოთა წესწყობილების არსებობისა და განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ყველა სახელმწიფო ორგანო, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, თანამდებობის პირი და ცალკეული მოქალაქე ზუსტად უნდა ასრულებდეს კანონებში და სხვა სამართლებრივ აქტებში დადგენილ სავალდებულო ქცევის წესებს, ესე იგი სამართლის ნორმებს.

როდესაც მასწავლებელი დარწმუნდა, რომ განვლილი მასალა საფუძვლიანად, გააზრებულად იყო ათვისებული, დაიწყო ახალი თემა — სისხლის სამართლის კანონმდებლობა.

გაკვეთილი საინტერესო გამოდგა მოსწავლეებისათვის.

ზოგადად ყველამ იცოდა, რა არის დანაშაული, იცოდა, რომ დანაშაულს რაღაც სასჯელი უნდა მოჰყვეს, მაგრამ, რასაკვირველია, არ იცოდნენ, თუ რა ასაკიდან შეიძლება შეეფარდოს სასჯელი, რა ზომები შეიძლება გამოყენებული იქნას არასრულწლოვანთა მიმართ, შეიძლება თუ არა არასრულწლოვანს შეეფარდოს ისეთი სასჯელი, როგორიცაა სიკვდილით დასჯა, გადასახლება, გასახლება...

შეიძლება თუ არა სასამართლომ სასჯელი დაადოს ისეთ მდგომარეობაში მყოფ პირს, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტში არ შეეძლო ანგარიში გაეწია ან ეხელმძღვანელა თავისი მოქმედებისათვის; რომელ დანაშაულს — განზრახ თუ გაუფრთხილებლობით ჩადენილს მოჰყვება მეტი სასჯელი, სახელდობრ, რომელი ქმედობაა საზოგადოებრივად საშიში და რომელი ქმედობის ჩამდენი პირი შეიძლება ცნობილ იქნას დამნაშავედ; რას ნიშნავს არაპირდაპირი განზრახვა, დანაშაულებრივი თვითიმედოვნება; ვინ ითვლება დანაშაულის თანამონაწილედ; რომელი დანაშაული ითვლება უფრო საშიშად— ერთი თუ რამდენიმე პირის თანამონაწილეობით ჩადენილი? დაისჯება თუ არა პირი, რომელიც დანაშაულს მალავს; რომელი დანაშაულის განუცხადებლო-

ბისთვისაა დაწესებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და ა. შ.

შეკითხვები ადასტურებენ, რომ მოსწავლეები ძალზე დაინტერესა თემამ და ცდილობენ უფრო ღრმად გაერკვნენ მასში.

მივყვეთ მათ შეკითხვებს:

გია ლელაშვილი: — ვიცი, რომ ადამიანის მოკვლა დანაშაულია, მაგრამ დაისჯება თუ არა პირი, რომლის უნებლიე მოქმედებას მოჰყვა სხვა პირის სიკვდილი? ვთქვათ, ყინულზე ფეხი დამისხლტა და დავეჯახე მოქალაქეს, რომელიც მანქანის ქვეშ ჩავარდა და დაიღუპა, დავისჯები?

მასწავლებელი:—არა. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასამართლოს მიერ პიროვნების დასჯისათვის პიროვნებას დანაშაული უნდა ჰქონდეს ჩადენილი განზრახ ან გაუფრთხილებლობით. თუ პიროვნების მოქმედებაში არც განზრახვაა და არც გაუფრთხილებლობა, ესე იგი არ არსებობს ბრალი და მხოლოდ შემთხვევას აქვს ადგილი, მაშინ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამორიცხულია.

ნანა გაბესკერია: — რა სახის დანაშაულისათვის მიეცემიან სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში არასრულწლოვანები?

მასწავლებელი: — არასრულწლოვანები 14 წლიდან პასუხს აგებენ მკვლელობისათვის, სხეულის განზრახ დაზიანებისათვის, რამაც ჯანმრთელობის შერყევა გამოიწვია, ყაჩაღური თავდასხმისა და გაძარცვისათვის, ქურდობისათვის, ბოროტი ხულიგნობისათვის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურების ან დაზიანებისათვის, რასაც მოჰყვება მძიმე შედეგები; ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალების ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცებისათვის, აგრეთვე ისეთი მოქმედების განზრახ ჩადენისათვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მატარებლის მარცხი და აგრეთვე ზოგი სხვა დანაშაულისათვის.

გელა კლარჯეიშვილი: — შეიძლება თუ არა არასრულწლოვანს მიესაჯოს დახვრეტა?

მასწავლებელი: — არა. რაგინდ მძიმე დანაშაული უნდა ჩაიდინოს 18 წელს მიღწეულმა არასრულწლოვანმა, მის მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ





იქნას სასჯელის უმაღლესი ზომა—დახვრეტა, ხოლო თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება აღემატებოდეს 10 წელს.

ზურაბ პაპელიშვილი: — დაისჯება თუ არა მოქალაქე, რომელიც მილიციელს ეხმარებოდა დამნაშავის დაკავებაში და ბოროტმოქმედს სხეულის დაზიანება მიაყენა?

მასწავლებელი: — არ დაისჯება. დამნაშავის დაკავება ყველა საბჭოთა მოქალაქის მორალური მოვალეობაა. თუ დამნაშავე ნებაყოფლობით არ დაგვემორჩილა, დასაშვებია მის წინააღმდეგ ძალის გამოყენება.

შეკითხვები გრძელდება.

ზარი დაირეკა.

მეცხრეკლასელები არ იშლებიან. მათ სურთ, რაც შეიძლება ნათლად გაერკვნენ საგანში, რომელიც საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლებს სწავლობს. ეს კომუნისტური აღზრდის, მოქალაქედ აღზრდის განუყოფელი ნაწილია. ყოველი მოსწავლე კი ვალდებულია იყოს საბჭოეთის ღირსეული მოქალაქე.

**ნარგიზა მგელაძე**

# პარტიზანი ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფოთულა იანაკოპულო**

დგას, გასცქერის არემარეს
პარტიზანი ქალი
და გრამოსის მწვერვალს უვლის
ტყის მღელვარე ქარი.
კლდეში გაჭრილ სანგარიდან
ისმის მტკიცედ თქმული:
,,გრამოსის მთავ, შენს სივრცეებს
გრიგალი რომ უვლის,
დაკიდულო ბილიკებო,
მზე სხივებს რომ გაფენთ,
ბევრჯერ შვებით დაუბერეთ
ჩემი სულის აფრებს.
გვასევია მტერი ირგვლივ,
ვით ზღვის ნაპირს ქვიშა,
მაგრამ ველით კვლავ იმედით
გამარჯვების ნიშანს.
რა ვუყოთ თუ აქ ყველაფერს
მტერი რისხვით ბუგავს,
სწამდეს ყველას: მოვკვდებით და
არ დავიხევთ უკან!
გაგვითავდა ტყვია, მაგრამ
ჩვენს მიზანს ვინ შეცვლის,
კვლავაც ისევ ღვივის მკერდში
ცეცხლი, ბრძოლის ცეცხლი".
ვით ზღაპარში, პარტიზან ქალს
ბრძოლის ჟინი იპყრობს.
აანთებს და ფრთებს შეასხამს
მშობელ მიწის სითბო.
ტყვია არ აქვს?
მაგრამ შეხეთ,
რამდენი ქვა ყრია,
აიღებს და მტერს დაუშენს,
როგორც თოფის ტყვიას.
მაგრამ ვაი, ეს რა ხმაა,
რა ქუხილი ისმის?
ვინ ესროლა, ვინ ჩაუქრო
გული დაფნის ღირსი?
სადაც უწინ ტოლ-სწორებთან
მკლავებს შლიდა შვებით,
იმ ადგილას დაიკეცა
მისი ლაღი ფრთები.
მშობელ-მიწას დაეკონა
პარტიზანი ქალი
და გრამოსის მწვერვალს აჰყვა
მისი გზნების ალი:
,,არ ჩაქრება სწრაფვა მზისკენ,
ტრფობა მშობელ მიწის.
დაჩაგრული ჩემი ხალხი
გაიმარჯვებს, ვიცი.
მხოლოდ ერთი ფიქრი მწველი
გულს წუხილით მოსავს,
თქვენთან ერთად ვერ შევხვდები
გაზაფხულის მოსვლას".

თარგმნა **ვახტანგ გორგანელმა**.

## ჩვენი უცხოელი თანატოლები

### ჩეხოსლოვაკიის პიონერული ორგანიზაცია

ჩეხოსლოვაკიის მუშათა ბავშვები ჯერ კიდევ ბურჟუაზიული წყობილების დროს გაერთიანებული იყვნენ ,,წითელ პიონერთა ორგანიზაციაში". წითელი პიონერები ყოველმხრივ ეხმარებოდნენ კომუნისტებს, იყვნენ შიკრიკები, მეკავშირეები, მონაწილეობდნენ დემონსტრაციებში. სკოლებში წითელ პიონერებს ყოველნაირად ავიწროებდნენ...

ფაშისტური ოკუპაციის წლებში ჰიტლერელებმა 70 პიონერი დახვრიტეს. პიონერებს იმისათვისაც კი სჯიდნენ, რომ წითელ ყელსახვევს ატარებდნენ.

დღევანდელი პიონერები წმიდათა წმიდად ინახავენ პირველი პიონერების ტრადიციებს. კვალმაძიებლები დიდი გულმოდგინებით ეძებენ პირველ პიონერთა შესახებ ხალხში შემორჩენილ მასალებს.

**1949** წლის აპრილში შეიქმნა ნორჩ პიონერთა ერთიანი ორგანიზაცია, სადაც იღებენ 6-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებს. მათ ფორმად აცვიათ თეთრი პერანგი, მუქი შარვალი (ქვედაწელი), უკეთიათ წითელი ყელსახვევი. მოწოდებაა: ,,სამშობლოს მშენებლობისა და დაცვისათვის იყავ მზად!" პასუხი: მზად ვარ"!

**1951** წელს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით პიონერთა შორის დაიწყო მასობრივი მოძრაობა დევიზით: ,,რესპუბლიკას — პიონერული დახმარების ერთწლიური". თითოეული პიონერი ვალდებული იყო, რაიმე სასარგებლო საქმე გაეკეთებინა სამშობლოსთვის. ეს მოძრაობა დიდად ნაყოფიერი გამოდგა და იგი შემდგომაც გაგრძელდა.

სამშობლოსადმი დახმარებისათვის პიონერებმა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მადლობა დაიმსახურეს.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო გმირის იულიუს ფუჩიკის ხსოვნის აღსანიშნავად მშვიდობის დაცვის კომიტეტი ყოველწლიურად, 8 სექტემბერს (**1943** წლის ამ დღეს, ფაშისტებმა წამებით მოკლეს სახალხო გმირი) მშვიდობისათვის გამოჩენილ მებრძოლებს — ხელოვნების მუშაკებს, ექიმებს, მასწავლებლებს... ანიჭებს მშვიდობის პრემიას. **1959** წლის 8 სექტემბერს ეს პრემია პიონერებმა დაიმსახურეს.

ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის პირველ ყრილობასა და საბჭოთა პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავთან დაკავშირებით პიონერებმა შეაჯამეს შედეგები აქციისა ,,პირველ პიონერთა კვალდაკვალ".

მუშაობა სამი მიმართულებით სწარმოებდა: 1. მეგობართა ქვეყანა. ჩეხოსლოვაკიელი პიონერები სწავლობდნენ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, გეოგრაფიას; 2. ეცნობოდნენ ჩვენი პიონერების ცხოვრებას, მათ საქმიანობას, გაცხოველებული მიწერ-მოწერა ჰქონდათ მათთან; 3. სწავლობდნენ თავიანთი ორგანიზაციის ისტორიას, მონაწილეობდნენ არტეკში გამართულ საკავშირო პიონერიის ზეიმში.






**ŽVAIGŽDUTĖ**

ამჯერად ჩვენი სტუმარია ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საბავშვო ჟურნალი „ჟვაიგჟდუტე“ — „ვარსკვლავი“.




# როგორც დღე და ღამე...

გასული ზაფხული ლიტვისთვის განსაკუთრებული იყო: ივლისში შესრულდა ოცდაათი წელი მას შემდეგ, რაც წითელი არმიის მებრძოლებმა დაიწყეს ლიტვის მიწა-წყლის განთავისუფლება ფაშისტი დამპყრობლებისაგან. ცამეტ ივლისს მტერი განდევნეს ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსიდან, ხოლო ოქტომბრის მიწურულისათვის—ლიტვის მთელი ტერიტორიიდან, გარდა საპორტო ქალაქ კლაიპედისა და მისი შემოგარენისა.

**მოტეიუს შუმაუსკასი,**

ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ყველა ჩვენგანის, ლიტველის მეხსიერებაში წარუშლელია 1944 წლის ზაფხულის ამბავი.

ჯერ კიდევ მიმდინარეობდა ჩვენი მშობლიური კუთხის განთავისუფლებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. წითელ არმიას მხარში ედგნენ ლიტველი პარტიზანები. ლიტვისათვის ბრძოლაში მხარდამხარ იბრძოდნენ რუსები და უკრაინელები, ბელორუსები და ქართველები— ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლები. ვერაგ და ულმობელ მტერს ებრძოდა დიდი და პატარა, ვისაც იარაღის ხელში დაჭერა შეეძლო.

საკუთარი თვალით ვნახე ვილნიუსი, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული გააფთრებული ბრძოლა. წითელი არმიისა და ლიტველ პარტიზანთა ნაწილებთან ერთად შევედი ქალაქში. საზარელი სანახავი იყო ვილნიუსი: შენობების თითქმის ნახევარი დანგრეული იყო, ცას



კრიუკალნისში — იქ, სადაც ერთდებიან ჩვენი რესპუბლიკის მთავარი გზები, ბორცვზე აღმართულია საბჭოთა არმიის მონუმენტი. მაღალ კვარცხლბეკზე დგას ქალი მუხის ტოტით ხელში—ლიტველი ქალის სიმბოლო. იგი გასცქერის ლიტვის თვალუწვდენელ ნაყოფიერ მინდვრებს და თითქოს განმათავისუფლებლებს ეუბნება: „გმადლობთ, ძმებო“.

ბორცვის ძირას, გრანიტის ფილაზე ამოკვეთილია სიტყვები: „საბჭოთა არმიას — განმათავისუფლებელს — ლიტველი ხალხისგან“.

ზამთარ თუ ზაფხულ ამ დიდებულ ძეგლთან თავს იყრიან ომის ვეტერანები, ახალგაზრდები. ახალგაზრდობა ფიცს დებს, რომ იქნება ჩვენი დიადი სამშობლოს ერთგული, მამების გმირული საბრძოლო და შრომითი ტრადიციების განმგრძობი.





წვდებოდა შავი კვამლი, ცეცხლის ალში იყო გახვეული საუკუნეების წინ ნაგები სახლები და სასახლეები...

ჩვენს წინაშე, გუშინდელი პარტიზანების წინაშე, დაისახა სრულიად ახალი ამოცანა: განთავისუფლებულ ქალაქში ნორმალურ კალაპოტში ჩაგვეყენებინა ახალი ცხოვრება. მე დამავალეს ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარეობა.

დღითი დღე, წლიდან წლამდე იშუშებდა საბჭოთა ქვეყანა ომით მიყენებულ მძიმე ჭრილობებს.

ლიტველმა მშრომელებმა გადაწყვიტეს — არამარტო აღედგინათ ომით დანგრეული, არამედ ახალიც ბევრი აეშენებინათ. ამ ახლის შენებაში ლიტვას ძმურად ამოუდგნენ მხარში საბჭოთა რესპუბლიკები. რუსეთიდან, უკრაინიდან, საქართველოდან, სომხეთიდან უწყვეტ ნაკადად მოდიოდნენ საშენი მასალით, მოწყობილობა-დანადგარებით დატვირთული ეშელონები, მათ მოჰყვებოდნენ სპეციალისტები. და ჩამორჩენილი, აგრალური ლიტვა სულ მალე მოწინავე ინდუსტრიის ქვეყნად იქცა. სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ზრდასთან ერთად გაიზარდა და განვითარდა კულტურა, ამაღლდა ცხოვრების დონე. გაიღო ასობით ახალი სკოლის კარი. ათობით საშუალო სპეციალური და თორმეტი უმაღლესი სასწავლებელი ყოველწლიურად უშვებს ათასობით მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტს.

სამშობლო ღვიძლ დედასავით ზრუნავს, რათა ბავშვები ყველაფრით იყვნენ უზრუნველყოფილნი. მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას ემსახურება საბავშვო ბაღები და ბაგები, პიონერთა სახლები და სასახლეები, პარკები, თეატრები, ნორჩ ტექნიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა სადგურები, სპორტული დარბაზები და მოედნები.

გავიდა მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომის 30 წელი. ამ ხნის მანძილზე საბჭოთა ლიტვამ არნახული ცვლილებები განიცადა. როგორც დღე ღამისაგან, ისე განსხვავდება იგი ძველ ყოფისაგან. განთავისუფლების 30 წლისთავს ჩვენ შევხვდით კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის წარმატებით განხორციელებით. შრომითი გამარჯვებებით დავამთავრეთ მეცხრე ხუთწლედის განმსაზღვრელი მეოთხე წელი. ხალხის გმირულმა საქმიანობამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. ამ სიხარულის დღეებში ჩვენ არ გვავიწყდება, რომ 1944 წლის ზაფხულში საბჭოთა არმიამ მოგვიტანა გამარჯვება, მოგვანიჭა მშვიდობიანი შრომის უფლება, გაგვიხსნა ნათელი, ბედნიერი ცხოვრების გზა. ლიტველი ხალხი მარად იქნება წითელი არმიისა და მისი გმირი მებრძოლების — ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს სხვადასხვა ერის შვილების მადლიერი. დაე მუდამ ჰყვაოდეს და ხარობდეს დიდი საბჭოთა ძმური ოჯახი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლიტვის ქალაქ მოსედისში დგას ბურჟუაზიული ნაციონალისტების მიერ წამებით მოკლული პიონერის — კაზის შედვისის ძეგლი. იგი თავიანთი ხელით გამომუშავებული თანხით დადგეს მოსედისის საშუალო სკოლის პიონერებმა.



რამუტე სკუჩაიტე

# ის ცოცხალია

მას მშობელ ქვეყნის,
მშობელ ხალხის
დუშმანი სძულდა;
მას აწამებდნენ,
ის კი მაინც
ამაყად სდუმდა.

თქვი, გამოტყდიო, —
დასჩხაოდნენ,
ის მხოლოდ სდუმდა.
მაშ ილოცეო
სიკვდილის წინ,
ის მხოლოდ სდუმდა.

გმინავდნენ ნაძვნი,
ღრუბლის ჩრდილი
ფარავდა ჭალას,
ოდეს ხალათი —
დასისხლული —
დაეცა ბალახს.

აღსდექი, კაზის,
ოქრო ბიჭო! გახედე,
რარიგ
კამკამებს ზეცა,
რა ბრწყინვალე
დაგვიდგა დარი!

აღსდექი! გესმის? —
დამლახველი
ტყეთა და ველთა,
როგორ გეძახის,

როგორ გიხმობს
ძვირფასი დედა!

ჰყვაოდა სელი,
მინდვრად ლურჯი
ჰყვაოდა სელი,
სელისგან ტილოს
ქსოვდა
მშობლის სათუთი
ხელი;
ვინ იფიქრებდა,
რომ იმ ტილოს
ხალათი მერე
აინთებოდა ბალახებში
ყაყაჩოს ფერით
და იქცეოდა
უძვირფასეს განძად დედისა,
წმინდა სიმბოლოდ
სიცოცხლის და უკვდავებისა.

ქარი სამარეს
გადააყრის ოქროსფერ
ქვიშას...
და ნორჩი გმირის
სადიდებლად და ხსოვნის
ნიშნად,
ნიშნად უმაწვილის
თავდადების,
პატიოსნების —
ღვივის საფლავთან ალისფერი
ტევრი დროშების.

ასე კვდებიან
მარტოოდენ
ჯარისკაცები —
რევოლუციის
მტრებისათვის
თავზარდამცემნი.
ისინი იქაც — მიწაშიაც
მზისკენ იწევენ
და მათ ცოცხლები
არასოდეს არ ივიწყებენ.

— ის ცოცხალია! —
შარიშურში მოისმის
დროშის,—
იცოცხლებს იგი
წლების მიღმა,
შორეულ დროშიც;

— ის ცოცხალია! —
წკარუნებენ
წვეთები წვიმის,
— ის ცოცხალია! —
იმეორებს
ნიავი დილის.

აწ სიმშვიდეა,
ქვემეხების სდუმან
ლულები.
სდუმან ძეგლებიც
ბრძოლის ველზე
დაცემულების.
ღიღინებს ქარი,
მზე ჩახჩახებს,
ბზინავს ველები,
მოაბიჯებენ
მხარგაშლილი
ლენინელები.

და მათ გულებში,
როგორც წმინდა,
ურყევი ფიცი,
ანთია ხსოვნა იმ პატარა
ლიტველი ბიჭის.

სახელი მისი სულ
ენთება,
ენთება მუდამ,
ისევე წყნარად, როგორც
თვითონ
იმჟამად სდუმდა.



# გმირობა

**ქ. მ ა რ უ კ ა ს ი**

ჩემმა კეთილმა მეგობარმა, თადარიგის პოლკოვნიკმა, ჯარისკაცის დიდი და ძნელი გზა განვლო. ომი სერჟანტმა დაიწყო, ბერლინში კი უკვე კაპიტნის ჩინით დაამთავრა. გამარჯვების დღეს, როცა ქუჩაში გამოდის, გამვლელები აღტაცებითა და მოკრძალებით შესცქერიან მისი უთვალავი ორდენითა და მედლით დამშვენებულ მკერდს.

ერთხელ ვთხოვე:

— მიამბე შენი პირველი გმირობის შესახებ, როდის, სად, რა პირობებში მოხდა?

ერთხანს დუმდა, ჭაღარა თავით ხელზე დაეყრდნო და ფიქრობდა. ბოლოს მითხრა:

— ბავშვობაში.

— ბავშვობაში?! — შევეკითხე გაოცებულმა. ვიფიქრე, დამცინის-მეთქი.

— დიახ, ბავშვობაში, — გამიმეორა სერიოზულად და აი, რა მიამბო:

— კლასში მე ყველაზე ღარიბი ვიყავი. ჩემს სადილს — ერთ ნატეხ შავ პურს სხვებისაგან განცალკევებით, მალულად ვჭამდი. ერთხელ, ზარის შემდეგ, სკოლის დერეფანში ვერცხლის ფული ვიპოვნე. სიხარულისაგან გული ბუდიდან კინაღამ ამომივარდა. შესვენებაზე ხაშხაშიანი ფუნთუშა ვიყიდე და ერთბაშად შევსანსლე. გადავწყვიტე დანარჩენი ფულით კინოში წავსულიყავი. ეს ახლანდელი ბავშვებისთვის, მოგეხსენებათ, ჩვეულებრივი ამბავია... მათ შეუძლიათ უსმინონ რადიოს, უყურონ ტელევიზორს, ჩვენ კი ყველაფერ ამას მოკლებული ვიყავით. მაშინ ჩემი ყველაზე დიდი ოცნება კინო იყო. მოუთმენლად ველოდი გაკვეთილების დამთავრებას. მინდოდა მეყიდა ანკესები, ფერადი ფანქრები და კიდევ—ბევრი ხაშხაშიანი ბლითი...

გაკვეთილის დაწყების წინ კლასში შემოვიდა სხვა კლასის მასწავლებელი, თან პატარა, გამხდარი გოგონა შემოჰყვა, რომელსაც წვრილი, გაფშეკილი ნაწნავები ჰქონდა.

— ჩვენს სკოლაში გოგონამ დაჰკარგა ფული. თუ რომელიმე თქვენგანმა იპოვნა, გთხოვთ დააბრუნოთ, — თქვა მასწავლებელმა და ყურადღებით შეგვათვალიერა.

გოგონა, მასწავლებელს რომ შემოჰყვა, უცებ დაფისკენ შებრუნდა და გულამოსკვნით აქვითინდა. გოგონას საცრდაობამ გული დამითუთქა. ფუნთუშა რომ არ მქონოდა ნაყიდი, ალბათ მაშინვე გამოვტყდებოდი და ფულს გოგონას დავუბრუნებდი. მაგრამ ახლა როგორ მოვიქცე, როგორ ავუხსნა? მასხრად ამიგდებენ... სწორედ ამის შემეშინდა და გაჩუმება ვამჯობინე.

— დედას ის ფული სახელმძღვანელოების საყიდლად მიუცია, — ისევ წამოიწყო მასწავლებელმა, თან მტირალ გოგონას თავზე ხელს უსვამდა, — იგი ძალიან გაჭირვებულია...

ახლაც არ ვიცი რა დამემართა, მასწავლებლის სიტყვებმა იმოქმედა თუ გოგონა შემეცოდა. ის კი იყო, რომ სიმხნევე მოვიკრიბე, წამოვდექი და მთელი სიმართლე ვთქვი.

პოლკოვნიკი დადუმდა. ვგრძნობდი, რომ კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა.

— ეს ყველაფერი ჩინებულია. მაგრამ რა კავშირი აქვს ამას სამხედრო გმირობასთან? — არ დავამთავრებინე სათქმელი.

— შენი დანაშაულის აღიარებას დიდი გაბედულება სჭირდება, — მომიგო პოლკოვნიკმა. ერთხანს იყუჩა და მერე კი დასძინა: — დღემდე ვამაყობ იმით, რომ მაშინ, სულ პატარა ბიჭუნას, მეყო გამბედაობა სიმართლე მეთქვა. არ ვიცი როგორი ჯარისკაცი დადგებოდა ჩემგან, იმ პირველი ცხოვრებისეული გამოცდის დროს სიმართლის თქმა რომ შემშინებოდა, სიმხდალე გამომეჩინა...

**ალბინას ქუკაუსკასი**

ტყე იყო ჯადოსნურად ლამაზი და კეთილი, ოღონდ ოდნავ სევდიანი.

მაგრამ, ჰოი, საოცრებავ! როგორც კი გამოჩნდნენ ბავშვები — რამდენიმე გოგო-ბიჭი, ტყე ერთბაშად გამხიარულდა, გამოცოცხლდა, ახმიანდა.

ტყე იცინოდა, ხარხარებდა, მღეროდა, თამაშობდა ბავშვებთან ერთად.

ბავშვები კი ტყეს შეჰხაროდნენ, უცებ დაუმეგობრდნენ, საერთო ენა გამონახეს, საერთო სიმღერა და სიცილი.

ტყემ გული გადაუხსნა, ზღაპრები მოუთხრო, ტკბილი ნაყოფით გაუმასპინძლდა.



როცა ხილის ჭამით გული იჯერეს, სიმღერისა, ანცობისა და სირბილისაგან დაიღალნენ — მოშივდათ.

პატარა, ლამაზ მდელოზე დასხდნენ, ბალახებში გადმოაპირქვავეს შინიდან წამოღებული პაწია კალათები და ჩანთები — დაიწყო საერთო სადილი.

ბავშვები ლამაზები და კეთილები იყვნენ. ტყე მზად იყო სათითაოდ ჩაეკრა ისინი გულში.

ისადილეს, დაისვენეს. ერთხანს კიდევ ირბინეს და შებინდდა კიდეც. შინ, ქალაქში დაბრუნების დრო დადგა.

# რატომ ტიროდა პური?

მატარებელმაც მალე მოაკივლა მახლობელ სადგურს. აბა, უნდა ავჩქარდეთ.

მოაგროვეს ნარჩენები, გაზეთის ქაღალდებიც კი — ასე ხომ არ დასტოვებენ.

ბალახებში კარგად მიჩხრიკ-მოჩხრიკეს — ჯაყვები ან სავარცხლები ხომ არ დაგვრჩაო.

— გოგოებო, პური წამოიღეთ, — დაუძახეს ბიჭებმა.

— ჩვენ ვერ წამოვიღებთ, ადგილი არა გვაქვს.

— თუ ასეა, არც ჩვენა გვაქვს ადგილი. იყოს.



შინ პურის მეტი რა გვაქვს, ტყუილად რად ვათრიოთ?

სადგურისაკენ გაიქცნენ.

და დარჩა პური მინდორზე, მაყვლის ბარდებს შორის.

მალე იმ ადგილზე, სადაც ბავშვები ისხდნენ, ყვავი მოფრინდა. დააცხრა პურს. გული რომ იჯერა, ერთი გულიანად დაიჩხავლა — ეს არის მისი სიცილი, და გაფრინდა.

მოცუნცულდა კურდღელი. დაინახა პური, გაუხარდა, გაიცინა — ბავშვებზე გაიცინა. ოჰ, როგორი უმადურები ყოფილან, პური დატოვესო! ჭამა, ჭამა და მოკურცხლა.

დაღამდა, ტყეში ჩამობნელდა. პური მარტოდმარტო დარჩა ტყეში, ყვავების საძიძგნად. პურს გული ეტკინა და ატირდა. წყენისაგან ატირდა: ნუთუ არ იციან, როგორი ძნელია მისთვის — პურისთვის — პურად გახდომა, რამდენი შრომა და რამდენი ოფლია მასში ჩაღვრილი.

ტყემ უსმინა პურის ტირილს და მასაც საოცრად ეტკინა გული. ნიავმა დაუბერა. წყნარად ადუდუნდა ტყე. მერე ქარი ამოვარდა და უკვე გულამოსკვნით აქვითინდა ტყე.

რატომ ტიროდა ტყე? იგი ზედ პურის ყანებს ემიჯნებოდა და თავისი თვალით ხედავდა, რამდენი შრომა და ოფლი სჭირდებოდა მის მოყვანას. პურმაც იცოდა. ამიტომაც ტიროდნენ ორივენი. ქალაქელმა გოგობიჭებმა კი არ იცოდნენ.

ამ დროს ისინი უკვე მატარებლიდან გადმოდიოდნენ და მხიარული სიცილ-კისკისით ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს. შინისაკენ მიმავალნი ტროლეიბუსებსა და ავტობუსებს ეშურებოდნენ. პური — ტყეში მარტოდმარტო დაგდებული პური, არც გახსენებიათ. ღირდა კი? შინ ხომ ბევრია პური, როგორიც გინდა, როგორსაც ინებებ.

ტყეში კი ტიროდა პური.

ტყეც სიმწრის ცრემლებს ღვრიდა.

# ლეგენდა ვილნიუსის შექმნისა






რებდით მგლების მთელი ხრო-
ვაო.

დილით გიადიმინასმა ბრძენები იხმო და სიზმრის ახსნა უბრძანა. დიდხანს იფიქრეს ბრძენებმა და, ბოლოს, მოახსენეს: თავადო, შენ ამ ბორცვზე კოშკი უნდა აღმართო და ეს ჩაუყრის საფუძველს ლიტვის დედაქალაქის აგებას... ამ ქალაქის ამბავი მოეფინება მთელ დედამიწას, როგორც იმ რკინის მგლის ღმუილი. ხოლო იმისათვის, რომ ფუძე კოშკისა მტკიცე იყოს, საძირკვლის პირველ ქვას ღმერთის შესაწირი მსხვერპლი უნდა დაეტანოს... ეს მსხვერპლი უნდა იყოს ლამაზი ქალიშვილი, რომელიც მზად იქნება საკუთარი სიცოცხლე









წამოსვლისას ითხოვა — ნება მომეცით თან წავიღო ჩემი ბაღის ყვავილებისაგან შეკრული ლამაზი თაიგულიო.

და აი, ზათქითა და გრიალით ჩავარდა საძირკველში პირველი ვეება ლოდი... მაგრამ, ჰოი, საოცრებავ! გოგონა უვნებელი იდგა იმ ლოდის გვერდით, ოღონდ ხელთ აღარ ეპყრა თაიგული. როგორც ჩანს, ღმერთმა მსხვერპლად თაიგული იკმარა...

საუკუნეები გავიდა, გაიზარდა ქალაქი, ბევრი რამის მომსწრეა მისი ქვის კედლები, ბევრი უნახავს მტერიცა და მოყვარეც... ბორცვზე კი კვლავ ქედუხრელად დგას იმ ციხე-დარბაზის კოშკი, რომელიც



დიდმა თავადმა გიადიმინასმა შრომისმოყვარე ლიტველი ხალხის ხელით ააგო.

ლამაზი, დიდებული ქალაქი ვილნიუსი კი, რომელსაც სახელი თავადმა ბორცვის ძირში მოჩუხჩუხე ვილნიალეს პატივსაცემად შეარქვა, დღეს ლიტვის საზღვრებს გარეთაც ფართოდაა ცნობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩემი პირველი ყელსახვევი

მიკოლას სლუცკისი

ის-ის იყო გრიალითა და რახრახით ჩაიარეს მძლავრმა საბჭოთა ტანკებმა, აახანხარეს ქუჩისპირას ჩამწკრივებული, ქვითა და ხით ნაგები პაწია შენობები. ჰაერში ჯერ კიდევ იგრძნობოდა ერთმანეთში არეული ნამწვავი ბენზინისა და დამჭკნარი ყვავილების სუნი, ხალხი კი უკვე ოფლს ღვრიდა მდიდრებისათვის ჩამორთმეულ ფაბრიკებსა და წისქვილებში. მუშები, ჩვენი მამები და ძმები, ზოგი კომუნისტური პარტიის რიგებში შედიოდა, ზოგიც კომკავშირში. მხოლოდ ჩვენ, ბავშვები, ვიყავით უპატრონოდ, ჩვენთვის არავის ეცალა.

ჩვენც მხოლოდ იმით ვერთობოდით, რომ ერთმანეთს ვუცვლიდით წითელარმიელების ნაჩუქარ სამკერდე ნიშნებსა და პაწია ხუთქიმიან ვარსკვლავებს.

სასწავლო წლის დაწყებამდე საკმაოდ დიდი დრო იყო დარჩენილი. რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?

გადავწყვიტეთ, ყველანი ერთად მივსულიყავით კომკავშირის შტაბში. მივედით კიდეც. მაგრამ იქიდან ცივად გამოგვისტუმრეს — ჯერ ცოტა კიდევ გაიზარდეთ და მერე მოდითო. ზოგიერთებს კი, რომლებიც ჩვენს შორის უფროსები იყვნენ, თითო-თითო ვედრო წებო და განცხადებების მთელი შეკვრა დაურიგეს — წადით და ეს განცხადებები ღობეებსა და სახლების კედლებზე მიაწებეთო. ამ საპატიო დავალების შესრულების მსურველი იმდენი აღმოჩნდა, რომ იმ ვედროებსა და ქაღალდებზე ერთი ცილაობა ატყდა.

— აბა, რა ყურები ჩამოყარეთ, ვაჟკაცებო, მალე თქვენი ჯერიც დადგება, — გვამშვიდებდა კომკავშირის მდივანი, ბურჟუაზიული ციხის ყოფილი პოლიტიკური პატიმარი. — სულ მალე შევქმნით პიონერულ ორგანიზაციას, მაშინ ყველას თავზე საყრელად გექნებათ საქმე!

„გვეუბნებიან, სულ მალე და მალეო“...მაგრამ ეს ცარიელი დაპირებებია და მეტი არაფერი... აბა, ჩვენც გვკითხონ, ადვილია ცდა, უსაქმოდ ყოფნა, როცა ირგვლივ მხოლოდ ის გესმის, რომ ყველამ, თავდაუზოგავად უნდა იშრომოს და იბრძოლოს ახალგაზრდა რესპუბლიკის განსამტკიცებლადო? ჩვენც ხომ ამ რესპუბლიკის შვილები ვართ, მაშ რატომ ვიყოთ ასე გულხელდაკრეფილები, რატომ ველოდოთ სხვას?

— მოდი თვითონ ჩამოვაყალიბოთ პიონერული რაზმი! — კარგა ხანს ბჭობის შემდეგ გადავწყვიტეთ ჩვენ, რადგან უკვე მეტი აღარ შეგვეძლო მდინარეში ჭყუმპალაობა და მინდორში ჭინჭის ბურთის დევნა.

— ვაშა! ვაშა! — ყვიროდნენ გახარებული ბავშვები, რომლებსაც აგრერიგად ერჩოდათ გული ნამდვილი, ვაჟკაცური საქმეებისათვის.

— კი მაგრამ, ყელსახვევები? საიდან მოვიტანოთ ყელსახვევები? — უცებ ავწრიალდით ყველა.

ჩვენ ნანახი გვქონდა საბჭოთა პიონერების ფოტოსურათები. მათ ყველას წითელი ყელსახვევები ეკეთათ. აბა რა პიონერები ვიქნებით უყელსახვევოდ, რითი გამოვირჩევით ჩვენი უმცროსი და-ძმებისაგან, რომლებიც ჯერ კიდევ თოჯინებსა და ჩილიკა ჯოხს თამაშობენ? ეგეც რომ არა, ყოფილი ბატონების შვილები, სულ ცოტა ხნის წინათ სკაუტების ფორმაში გამოწყობილები რომ დადიოდნენ, მასხრად აგვიგდებენ.

— დედაჩემი მიშოვის წითელ ნაჭერს! — დაიტრაბახა ვიტასმა. რატომაც არა! დედამისი მკერავია, იმას არ გაუჭირდება ნაჭრის შოვნა.

ვის წითელი აბრეშუმის ნაჭერი აღმოაჩნდა, ვის წითელი სატინისა. ზოგი კი ძველი ბურჟუაზიული ლიტვის დროშის დაჭრას აპირებდა. აბა, სხვა რაღაში გამოდგებოდა, ტყუილად ეყარათ სხვენზე.

ყველას, ყველას ექნება წითელი ყელსახვევი... მე კი, რომელსაც ყველაზე მეტად მეწადა პიონერობა, არ მექნება ყელსახვევი, რადგან არც წითელი ნაჭერი მაბადია, არც ძველი დროშა და არც წითელი ბალიშის პირი.

რამდენიმე დღე ყურებჩამოყრილი დავდიოდი. აღარაფერზე არ შემეძლო ფიქრი იმ მზესავით მოელვარე, საოცნებო ყელსახვევის გარდა.

ბოლოს დედამ დამამშვიდა:

— ნუ გეშინია, შვილო, თეთრ ჩითს შეგიღებავ წითლად და შენც გექნება ყელსახვევი.

აიღო რაღაც თეთრი ნაჭერი, ცოტა ჩამოახია და საღებავში ჩააგდო. რამდენიმე წუთიც და ჩემი ყელსახვევი მზად იყო. მართალია, ცოტა მუქი ფერისა გამოვიდა, მაგრამ მაინც თითქმის ნამდვილი პიონერული ყელსახვევი იყო.

— აი, მეც! — სიხარულით შევძახე და ჩემს ყელსახვევიან თანატოლებს გვერდში ამოვუდექი.

უსაზღვრო იყო ჩემი სიხარული, იმდენად უსაზღვრო, რომ მოახლოებული საფრთხე ვერ შევნიშნე. უეცრად ცამ პირი შეიკრა, იელვა, იქუხა და კოკისპირული წვიმა წამოუშინა. ამ გვალვიან ზაფხულში წვიმას დანატრებული ბავშვები გადარეულებივით დავრბოდით, სახეს ვუშვერდით მსხვილ, გამაგრილებელ წვეთებს და არც კი შემინიშნავს, როდის ატირდა ჩემი ყელსახვევი წითელი ცრემლებით.

ასე დაამთავრა არსებობა ჩემმა, ასეთი წვალებით შეძენილმა, ყელსახვევმა. მთლად შემიღება კისერი, ხალათი და უბრალო მჩვარს დაემსგავსა. მეც უკვე აღარ ვგავდი პიონერს.

... ჩვენს ქალაქში მალე შეიქმნა პიონერული ორგანიზაცია. ჩვენი ქუჩის ყველა ბავშვი გავხდით პიონერი და ვატარებდით წითელ ყელსახვევს. ცეცხლივით მოელვარე, ხასხასა წითელი ყელსახვევი გამიკეთეს მეც.

მას შემდეგ ბევრი პიონერული ყელსახვევი მქონდა. ხშირად ახლაც მასაჩუქრებენ ხოლმე პიონერები, პრეზიდიუმში მყოფს თუ მათთან სტუმრად მისულ ვეტერან პიონერს, ახლათახალი შარიშურა აბრეშუმის ხელსახვევით, მაგრამ არა და არ მავიწყდება ის ჩემი პირველი ჩითის ყელსახვევი, რომელმაც პირველ წვიმას ვერ გაუძლო. ეს ხომ 1940 წელს იყო, როდესაც ლიტვა საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ოჯახს შეუერთდა.

## ხა, ხა, ხა



ერთხელ ერთი ხა
შეხვდა ნაცნობ ხას,
მიიწვია შინ,
დასვა და ჰკითხა:
— მოგეწყინა, ხა?
— მომეწყინა, ხა.
ეჰ, მესამეც რომ
გვაპოვნინა ხა,
გავაგონებთ ხალხს
ხა, ხა, ხა-ს.
უცებ — კარზე კაკუნი...
— ეი, ვინა ხარ?
— სანატრელი თქვენი,
ვარ მესამე ხა.
— ოჰ, მობრძანდი, ძმაო,
ოჰ, დაბრძანდი, ძმაო,
გაგახარა ღმერთმა!
აბა ახლა ერთხმად:
ხა ხა, ხა!






ელექტრონული ბიბლიოთეკა

**მარტინას ვანილაიტისი**

შუაღამისჟამს უღრანში,
ბერი ნაძვების ძირას,
პატარა ეშმაკუნები
გადადიოდნენ ყირას.

ხარობდნენ კოჭის თამაშით,
ზედ აყოლებდნენ ხარხარს.
უცებ, კუტისს თუ პიკუტისს*
კოჭი გაუსხლტა სადღაც.

იგორა კოჭმა ღადღადამ,
ბოლოს ტყის პირას გაჩნდა,
სად მუსიკოსი ვიდოდა,
ზურგზე კუზი რომ აჯდა.

სცადა მან კოჭის აღება,
ვერ დასწვდა,
წასცდა ოხვრა,
ალბათ კუზი თუ უშლიდა
წელში მიწამდე მოხრას.

მოვარდნენ ეშმაკუნებიც,
მის წინ დაერჭვნენ იმწამს,
ახედ-დახედეს მუსიკოსს
და ვიოლინოს მისას.

— თუ საცეკვაოს დაუკრავ
ისეთს, როგორიც გვინდა,
ჩაგიჩხრიალებთ ოქროებს
კოჭლი ბუბისის** რქიდან.

— მე თქვენი ოქრო არ მინდა,
არცა მისხალი ვერცხლი,
ისე დავუკრა, ფეხებზე
შემოგეხვიოთ ცეცხლი!

ბეჭით მიეყრდნო არყის ხეს,
სიმებს გაუსვა ხემი
და ახმიანდა ერთიან
ის უღრანი თუ ხევი,



# კუზიანი მუსიკოსი

თითქოს ათასი ტოროლა
აწკრიალდაო ცაში,
თითქოს ურიცხვმა ფოთოლმა
ერთად შემოჰკრა ტაში.

მყისვე იქ გაჩდნენ ნარნარი
ასულნი ლაუმესის***
ისინი, ვინაც ყოველღამ
რაღაც ჯადოსნურ ნემსით
ნისლიან ბინდებს კერავენ,
მერე ქრებიან დილით.
დაუხვდნენ ეშმაკუნები
რქიანნი, მაგრამ ზრდილნი.
და... დატრიალდა ფერხული —
ქარბუქიანი ცეკვა,
სანამ მამლების ყივილი
ატყდა რიჟრაჟის რეკვად.

შედგნენ, შეჩერდნენ ყველანი:
— მეტი არ ძალგვიძს, არა,
ლამის დაგვაწყდეს ფეხები,
ჰე, კუზიანო, კმარა!

და მუსიკოსმა, ცხადია,
ამოისუნთქა შვებით.
შემოეხვივნენ გარშემო,
როგორც ძმები და დები.
— შენ აგაშენოს. — ეტყოდნენ, —
გული ახარე ჩვენი!
მიართვეს თაფლის კვერები,
არყის ქაფქაფა წვენი.

ჭამა, დალია და მიწვა,
თავქვეშ დაიდო კუნძი.
გამოეღვიძა, გაოცდა —
სადღაა მისი კუზი!..

რა იქნა კუზი ნეტავი,
ძლივს რომ ზიდავდა
ხვნეშით?
ალბათ იმ ეშმაკუნებმა
გადაუძახეს ხევში

---

* ეშმაკუნების სახელებია.
** ეშმაკის სახელია.
*** ზოგჯერ კეთილი, ზოგჯერ ბოროტი ფერია, ლიტვური ზღაპრების პერსონაჟი.

ლექსები თარგმნა ს. შამფრიანმა.

# ᲐᲑᲚᲘᲜᲒᲐ

## ვიტაუტას პიატკიავიჩუსი

საუკუნეები იდგა ეს მშვიდი სოფელი ჟიამაიტი უძველესი ჟვაგინის გვერდით. ამ ულამაზესი ტყეებით გარშემორტყმულ სოფელში საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ უბრალო, გამრჯე ადამიანები. ხნავდნენ, თესავდნენ, მოჰყავდათ პური, მწყემსავდნენ ცხენების რემას. წკრიალა სიმღერებითა და მოხატული ტანსაცმლით ილამაზებდნენ ცხოვრებას. ხოლო როცა მოხუცდებოდნენ, ასეთსავე ლამაზ ზღაპრებს უამბობდნენ თავიანთ შვილიშვილებსა და მათ შვილებს. ასე იყო უძველესი დროიდან, ასე იქნებოდა დღესაც და ხვალაც.

მაგრამ დაიწყო ომი.

განთიადი ჯერ არც კი იყო მობრძანებული, როცა აფეთქდა პირველი ყუმბარები, გაისმა სროლა. ხალხი შეშინდა.

საშინელი ქარიშხალივით გადაიქუხა და სადღაც შორს, აღმოსავლეთით გადაიწია ფრონტის პირველმა ხაზმა.

23 ივნისს კი აბლინგაში შემოიჭრა დამსჯელთა რაზმი. სოფლის მცხოვრებნი მათ ფიცრულ ბარაკში ჩაჰკეტეს და თვითონ ხელი მიჰყვეს ძარცვას, საქონელი დაკლეს, სახლები კი ცეცხლს მისცეს.

მზის ჩასვლისას დაპატიმრებულები ფაშისტებმა ხევში ჩარეკეს, უბრძანეს პირქვე დამხობილიყვნენ, და ყველანი განურჩევლად დახვრიტეს. ასე, ამგვარად, ომის მეორე დღესვე აღიგავა პირისაგან მიწისა ლიტვის ერთი მშვიდობიანი სოფელი. აღარ დარჩა სულიერი — არც დიდი და არც პატარა.

...ფრონტი კი წინ, აღმოსავლეთისაკენ მიიწევდა. ხალხმა მალე გაიგო ფაშისტების ახალ-ახალ ბოროტებათა შესახებ და ისინი იმდენად დიდი და საშინელი იყო, რომ აბლინგის ტრაგედია მალე გაითქვიფა სხვათა ცრემლსა და ტკივილში. ლიდიცე და ორადური, პირჩუპაი და ხატინი, ვარშავა და კოვენტრი იხსენიებოდა უფრო ხშირად და უფრო ხმამაღლა, ვიდრე ლიტვის ეს პატარა, წყნარი სოფელი.

და აი, იმ საშინელი დღეებიდან ოცდაათი წლის შემდეგ აბლინგაზე კვლავ ალაპარაკდა ლიტვა. სახალხო მხატვრის ვიტაუტას მაიორასის ინიციატივით, სოფელ ჟვაგინიაის ერთ-ერთ კარმიდამოში გაიხსნა შემოქმედებითი ბანაკი.

მთელი თვის მანძილზე ოსტატები უსასყიდლოდ, მხოლოდ და მხოლოდ საქმის სიყვარულით, გულმოდგინედ ამუშავებდნენ ხეს. ისინი ქმნიდნენ დაღუპული სოფლელების სკულპტურულ პორტრეტებს. ქმნიდნენ ისეთებად, როგორადაც წარმოიდგენდა მათი ფანტაზია დაღუპულის ხასიათს და გადატანილ ტრაგედიას.

1974 წლის 29 ივლისს საზეიმოდ გამოწყობილი ოსტატები შეიკრიბნენ ძეგლების გახსნის ცერემონიალზე და თვითონაც ვეღარ დაუჯერეს საკუთარ თვალებს, იმდენად საინტერესო და სულის შემძვრელი სანახაობა გადაიშალა მათ წინ.

დაღუპული სოფლის პატივსაცემად, ხალხის ხსოვნის ამ ძეგლის სანახავად ლიტვის ყველა კუთხიდან მოიყარა ხალხმა თავი. როდესაც ქანდაკებებს თეთრი საბურველები ჩამოხსნეს, დამსწრეთა წინაშე ახალი აბლინგა გაცოცხლდა: მოღუშული და ბრალმდებელი, უბრალო და ხალხური, რომელსაც ვერ მოკლავ, ვერ დასწვავ, რომელიც მაინც წამოიმართება აქოჩრილ მუხასავით...

...ისინი ორნი იყვნენ, ორი მეგობარი, პიატრასი — მხიარული, გულღია. ანტანასი — წყნარი, მეოცნებე. ორივეს უყვარდა წიგნი და ცხენები... ისინი ერთმანეთზე გადაბმული და დამწვარი ნახეს ერთ-ერთ ბელელთან. და აი, ახლა მათ — ტყუპისცალებივით ერთ მუხაში გაცოცხლებულებმა, ერთი ფესვიდან ამოზრდილებმა და რიმას პამპარასის საჭრეთლით სულჩადგმულებმა თვალი მოავლეს გადამწვარ სოფელს და მკაცრად იკითხეს:

— რისთვის?

მათ გვერდით მთელი ტანით აღმართულა აბლინგელი გუთნისდედა ლიონას დაუსიუნასი. თითქოს მშობლიურ მიწიდან ამოზრდილა და მაგრად ჩაუვლია ხელი გუთნისთვის. ასეთი დარჩება იგი სამუდამოდ, როგორადაც შექმნა სახალხო მხატვრის ალექსანდრა დომარკენის გულმა და მარჯვენამ.

ცოტა მოშორებით, უსაზღვრო ტკივილში გარინდებულა მისი მეზობელი ქალი — მარცელე ჟდორაუსკაიტე. მას ერთი ხელი ცხრა წლის გოგონასთვის ჩაუვლია, მეორე — ექვსი წლის ბიჭუნასათვის... ასეთი ნახეს ისინი უკანასკნელად თანასოფლელებმა. პერანგების ამარა რომ გარბოდნენ აყვავებულ მინდორზე, ცდილობდნენ გაქცეოდნენ ფაშისტების ტყვიას. რაც უფრო ღრმად შედიხარ ხეტქცეული ადამიანების ტევრში, მით უფრო მეტი სიამაყე გიპყრობს, სიამაყე შენი ხალხის სიდიადით, მისი უკვდავებით შთაგონებული..

ასეთ ხალხს ვერ მოსპობ, ვერ დაიმონებ, ვერ აღგვი პირისაგან მიწისა.

ისინი ყველანი ამ მიწაზე გაიზარდნენ, იყვნენ კეთილნი და გულუხვნი, როგორც მშობელი მიწა; ხალისიანად იცინოდნენ, მღეროდნენ, ოფლს ღვრიდნენ, შემოდგომაზე აჩაღებდნენ მხიარულ ქორწილებს, ზრდიდნენ შვილიშვილებს.

შეიძლება დაუსრულებლად იარო და უყურო მუხაში ნაკვეთ ამ ოცდაათ ძეგლს და მაინც გრჩება რაღაც უთქმელი. შენი იქ ყოფნისას მოვა ვინმე, დაღუპულების პატივსაცემად, ყვავილებს მიმოაბნევს და რაიმეს მოჰყვება, რაიმეს, რაც ამ ძეგლებში არ თქმულა, მაგრამ ხალხის გულში ცოცხლობს. ასე დაიბადება ახალი ლეგენდა სიკვდილსა და უკვდავებაზე, სიცოცხლეზე, რომელმაც დათრგუნა სიკვდილი, ლეგენდა ოცდაათ მარადიულ მუხაზე, რომლებიც აღსდგნენ და უძველესი ყორღანის ძირას საპატიო ყარაულში ჩადგნენ.

# მიწისქვეშეთის ბინადარი

ქ. მ ა რ უ ქ ა ს ი

ჩვენი მხარის, აბა, რომელ ცხოველს არ იცნობთ? უთუოდ ბევრი რამ გსმენიათ მგელზე, ცხენ-ირემზე, გარეულ თხაზე. მაგრამ მაჩვს თუ იცნობთ?

პატარაობისას ზაფხულობით ბიძასთან ჩავდიოდი სოფელში. ბიძაჩემის სახლი ზედ ტყის პირას იდგა. მახლობლად საკმაოდ ღრმა მდინარე მიედინებოდა. მდინარის გაღმა გორა იყო აღმართული. მას მელიის გორას ეძახდნენ. მის ფერდობებზე შეფენილ ბუჩქნარებში ბავშვები ჟოლოს ვკრეფდით, კოცონს ვანთებდით, დამალობანას ვთამაშობდით. ერთხელ, შინ გვიან რომ დავბრუნდი, ბიძაჩემმა მითხრა:

— ნუ დადიხარ იმ არემარეში. იქ მაჩვები ცხოვრობენ, შეიძლება გეცნენ.

უფროსი ბიძაშვილები მაშინებდნენ:

— მაჩვს კუდზე თუ დაადგი ფეხი, შარვალს დაგიფლეთს.

მას შემდეგ იმ ბუჩქებს შიშით ველარ ვეკარებოდი. ასე მეგონა, ყოველი ბუჩქის ძირას მაჩვი მიცდიდა, რომელიც ჩემს წარმოდგენაში ვეება ეშვებიანი, საზარელი მხეცი იყო. ჯერ კიდევ მზის ჩასვლამდე მივრბოდი შინისაკენ და მერე ჭიშკარს არ გადმოვაბიჯებდი.

რამდენიმე წელი ძალიან მეშინოდა მაჩვისა, რადგან მის შესახებ არაფერი ვიცოდი. მერე კი ბევრი საინტერესო რამ გავიგე ამ ცხოველზე და მინდოდა მენახა იგი მაგრამ ბუნების წიაღში ვერც ერთხელ ვერ მოვკარი თვალი.

გაზაფხულის ერთ დილას მდინარეზე სათევზაოდ მივდიოდი. უცებ ბუჩქიდან თეთრი დინგი და მონაცრისფრო-მოშაო ტყავი გამოჩნდა. სუნთქვაშეკრული გავჩერდი. „აჰა, შევხვდი!" — მინდოდა მეყვირა სიხარულისაგან, როცა ვიცანი მაჩვი. ეს იყო ძაღლის ოდენა მოკლეფეხება ნადირი. წამით ჩვენი მზერა ერთმანეთს წააწყდა, მაჩვმა უცნაურად დაისისინა და მიიმალა. სხვა დროს კიდევ შევხვდი მაჩვს: დილაადრიან და გვიან საღამოს, მაგრამ მაშინაც მხოლოდ ერთი წამით.

მაჩვი სოროდან შორს არ მიდის. იგი ძალიან ცუდად დარბის და საფრთხეს მხოლოდ საკუთარ სოროში ემალება. ფეხები ნიჩბებს მიუგავს. საჭიროების შემთხვევაში შეუძლია სწრაფად ამოთხაროს მიწაში სამალავი.

მაჩვს უყვარს სოფლისგან დაშორებული ქვიშიანი გორაკები. იქ თხრის სოროს, რომელსაც რამდენიმე შესასვლელ-გამოსასვლელს უკეთებს. ცხოვრობს განდეგილივით. არაჩვეულებრივად სისუფთავის მოყვარეა. მას უწესო მეზობლები ეჯავრება. მაგრამ, ვაი რომ სწორედ ასეთებია მისი მეზობლები. აი, მაგალითად, მელა. ლეკვების დაყრის დრო რომ დაუდგება, იგი თავხედურად მოიკალათებს ხოლმე მაჩვის სოროში და იქაურობას აურდაურევს. მაჩვი ითმენს ერთი დღე, მეორე დღე, მელის ლეკვები კი თავიანთ საქმეს განაგრძობენ. მოთმინების ფიალა რომ აევსება, მაჩვი ტოვებს „სახლს" და იწყებს თავის ახალი, მიწისქვეშა სასახლის თხრას.

რით იკვებება მაჩვი?

მწერებით, წვრილფეხა მღრღნელებით, ბაყაყებით, ხვლიკებით... საერთოდ კი მაჩვი უვნებელი სულდგმულია.

რა დასამალია და, ძილი უყვარს. შემოდგომაზე ძილს რომ მიეცემა, გაზაფხულამდე არ გამოიღვიძებს. თუმცა, ზამთარში, როცა დათბება, გარეთ გამოდის სუფთა ჰაერის ჩასასუნთქავად.

ზამთარია. მიწისქვეშეთში ტკბილად სძინავს მაჩვს. თავქვეშ თათი აქვს ამოდებული. ახლა ჩვენ და ის უკვე კარგი ნაცნობები ვართ, მაშ ვუსურვოთ სასიამოვნო სიზმრები.





# ახალი წიგნები



## ვ. ასლამაზიშვილი

### ქვეყნად რამდენი კარგი ადამიანია

ვლადიმერ ასლამაზიშვილის მოთხრობები ხშირად იბეჭდება ჩვენს პრესაში. ახლახან მწერალმა სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მოთხრობები გამოსცა წიგნად საერთო სათაურით— „ქვეყნად რამდენი კარგი ადამიანია“.

წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. აქ არის ისტორიული ხასიათის მოთხრობები და თანამედროვეობაზე დაწერილი. უმთავრესად შემეცნებითი და დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებები.

...პატარა რევოლუციონერი შიო პროკლამაციებს ავრცელებს ბაზარში. ამ დროს ვიღაც ნესვივით მრგვალი, ლოყებღაჟღაჟა ვაჭრის ანკესზე წამოეგება! უბე პროკლამაციებით აქვს შიოს გამოტენილი, ვაჭარი კი ყურში ჩაფრენია და პოლიციაში მიათრევს. ბედად, ვიღაც მეფის ოფიცერი გამოჩნდება, ვაჭარი იმას ჩააბარებს შიოს და მის მკაცრად დასჯას მოსთხოვს. ოფიცერი მაგრად ჩაჰკიდებს ხელს პატარა ბოლშევიკს და ეტლით წააბრძანებს სადღაც...

შინ დაბრუნებული შიო მამამისს უამბობს თავს გადახდენილი ფათერაკის შესახებ.

მაინც ვინ იყო ის კეთილი კაცი? შიოსთან ერთად ებადება კითხვა მკითხველსაც. ალბათ თქვენც დაგებადებათ ეს კითხვა. ჰოდა, წაიკითხეთ, ვლადიმერ ასლამაზიშვილის მოთხრობა „ქაღალდის ყვავილები“ და ყველაფერი ნათელი გახდება.

ვლადიმერ ასლამაზიშვილის წიგნი „ქვეყნად რამდენი კარგი ადამიანია“ ბევრ სიამოვნებას მოჰგვრის ქართული მხატვრული ლიტერატურის მოყვარულთ, განსაკუთრებით კი მოსწავლე ახალგაზრდობას.

## თ. გიორგაძე

### ჭადრაკის ანბანი

ჭადრაკი რომ ბრძნული თამაშია, ეს დღეს ყველასათვის ნათელია— დიდი ლენინი მას „გონების ტანვარჯიშს, გონების სასინჯ ქვას“ უწოდებდა. ამ თამაშს ხოტბას ასხამდნენ კარლ მარქსი, ფრიდრიხ ენგელსი, სხვადასხვა დროის დიდი ადამიანები.

საჭადრაკო ბრძოლა ეს არის მოწინააღმდეგეთა ზრახვებისა და გეგმების მძაფრი შეჯახება, მათი გამჭრიახობისა და საზრიანობის შეჯიბრი. იგი მოთამაშეს ასწავლის ლოგიკურ, თანმიმდევრულ აზროვნებას.

ჭადრაკი დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში. საკმარისია გავიხსენოთ ანდრია დადიანი და მისი ბრწყინვალე პარტიები, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ ღირებულება, პირველი ქართველი ოსტატი გოგლიძე და სხვები... ხოლო ქართველი მოჭადრაკე ქალები მსოფლიოში არიან განთქმული. ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია, ნანა ალექსანდრია კი საბჭოთა კავშირისა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი...

თენგიზ გიორგაძის წიგნი ჭადრაკის შემსწავლელთ ვრცლად აცნობს მის ისტორიასა და განვითარებას უძველესი დროიდან დღემდე, აგრეთვე არკვევს ამ თამაშის ზოგიერთ საიდუმლოებაში. ამ ნაშრომით ყველა მსურველს შეუძლია გაეცნოს დიდი მოჭადრაკეების, მათ შორის სტეინიცის, ანდერსონის, მორფის, სპასკის, ფიშერისა და სხვათა პარტიებს, მათ შეხედულებებს თუ დებულებებს ჭადრაკის შესახებ.

„ჭადრაკის ანბანი“ მოჭადრაკეთა ნამდვილი მეგობარი და მასწავლებელი, სამაგიდო წიგნია.

## კარლო ტაბატაძე

### ფრესკა

„პიონერის“ მკითხველებს გემახსოვრებათ ეს მოთხრობა. იგი 1972 წელს დაიბეჭდა ჩვენს ჟურნალში. ალბათ ისიც გახსოვთ, რომ ამ მოთხრობამ „პიონერის“ კონკურსზე პრემია დაიმსახურა. მოთხრობის შინაარსს აღარ შეგახსენებთ, გეტყვით მხოლოდ, რომ მასში თქვენი თანატოლების საინტერესო ცხოვრებაა აღწერილი.

ახლახანს საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობამ „პიონერის“ ბიბლიოთეკის“ სერიით „ფრესკა“ წიგნად გამოსცა.

## ელგუჯა მერაბიშვილი

### მატარებლები დასავლეთისკენ მიდიან

„პიონერის“ ბიბლიოთეკის“ სერიით ამავე გამომცემლობამ წიგნად გამოსცა ელგუჯა მერაბიშვილის მოთხრობა „მატარებლები დასავლეთისკენ მიდიან“. მოთხრობამ „პიონერის“ კონკურსზე პრემია დაიმსახურა და იგი გაგრძელებებით იბეჭდებოდა ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

მასში აღწერილია ომის დროინდელი სოფლის ახალგაზრდობის ცხოვრება.










# ჩვენი გულების სიმღერა

არტეკში გატარებული ყოველი დღე თავისებურად საინტერესო და დასახსომებელი იყო. ერთმა საღამომ მაინც განსაკუთრებულად მომხიბლა.

ის იყო ვივახშმეთ, რომ უცებ უჩვეულო ხმები მოგვესმა. ყველანი იქით გავეშურეთ, საიდანაც ეს ხმები ისმოდა. მალე მთელმა რაზმეულმა კოცონის მოედანზე მოიყარა თავი. გავიგეთ, რომ არტეკელები შეხვედრას ვუწყობდით საყვარელ კომპოზიტორს ი. გ. ჩიჩკოვს, რომელსაც ეკუთვნის არტეკული სიმღერების ნახევარზე მეტი.

შეხვედრამ ძალზე მხიარულად ჩაიარა, ვიმღერეთ ჩიჩკოვის ბევრი სიმღერა და ბოლოს: „ახლა მოგასმენინებთ რამდენიმე სიმღერას ჩემი ახალი კანტატიდან „ჩვენი გულების სიმღერა“, რომელსაც ვუძღვნი პიონერთა VI საკავშირო შეკრებას“, — თქვა საპატიო სტუმარმა და იქაურობას კვლავ მოეფინა საამო ჰანგები. ეს იყო მართლაც ჩვენი გულების სიმღერა მშვიდობასა, ძმობასა და მეგობრობაზე.

ციცინო ხუცურაული,
თელავის მე-5 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

## მოვდივარ

გზისპირ მხვდებიან აკაციები,
გაგიჟებულნი სიმაღლის ლტოლვით,
ჩემი ხომლით და ჩემი მთიებით
მოვდივარ... როგორც ივლისში თოვლი.

ამ დიდ თვალებში შუქი ჩასახლდა,
პეშვებით მომაქვს სიწმინდის თესლი,
მოვდივარ...
მთები გზას მილოცავენ,
კვირტიდან ქონავს უთქმელი ლექსი...

●

აბურთავებდა ასფალტზე ქარი
ჭადრის ფერმკრთალ და უძარღვო ფოთოლს,
ბედს ჰგავდა მისი უაზრო სხლტომა
და ფიქრებს — გული, სათუთი, თოთო...

შემოოჭვილი იანვრის ქეშით
ცრემლს ღვრიდა დედა — მძლავრი ჭადარი,
ვეება მჯიღებს იკრავდა გულში
და კანკალებდა შიშისგან ქარი.

უეცრად ახლოს გამოჩნდა გოგო,
ფრთხილად აიღო ფოთოლი ჭადრის,
წავიდა... თავის ფანჯრის რაფაზე
შემოდვა, როგორც ლამაზი დარდი.

მას შემდეგ ყოველ მზის ამოსვლისას
ფოთოლს და გოგოს ვხედავ სარკმელთან.
ლამაზი ვარდი გაქრა რაფიდან,
ვარდი, რომელიც სურნელს აკმევდა.

ხოხბის ყივილმა დააფრთხო ია,
ჩამოეკიდა ცის თაღს არწივი.
დიდი ხანია... ჭადრის ფოთოლი
დევს, როგორც ჩემი გულის ნაწილი.

თამაზ ბაძალუა,
გეგეჭკორის რაიონის ნახუნაოს საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

## იუმორი

— წითელი ლოყები ხომ სიჯანსაღის ნიშანია? — ჰკითხა დეიდას მინამ.

— რასაკვირველია!

— მაშინ შენ მარცხენა მხარეს უფრო ჯანმრთელი ყოფილხარ, ვიდრე მარჯვენა მხარეს.

●

**მასწავლებელი:** პეტერ, რომელი ასო მოდის „ა“-ს შემდეგ?

**პეტერი:** ყველა დანარჩენი, პატივცემულო მასწავლებელო.

●

— მე არც ისე დიდი წარმოდგენა მაქვს სპილოზე, — უთხრა ერთმა ბუზმა მეორეს.

— რატომ?

— მას ხომ არ შეუძლია ჭერზე სიარული.

●

**დედა:** ჰანს, ჩაყარე ნახევარი ჩაის კოვზი შაქარი ლიმონათში და კარგად მოურიე!

**ჰანსი:** კი მაგრამ, სად ვიშოვო ნახევარი ჩაის კოვზი?

გერმანულიდან თარგმნა
ლელა ხორნაულმა,
თბილისის 89-ე საშუალო სკოლის V[1] კლასის მოსწავლე.

## ფხიზლად დავიცვათ

გაზაფხულის ერთ მშვენიერ კვირა დღეს, ჩემს მეგობრებთან ერთად, ტყისპირს მივუყვებოდი — გვინდოდა გვეხილა ნაზამთრალი ბუნების ზეიმი. ირგვლივ მართლაც სიხარული ეტყობოდა ყველაფერს — სულიერსა თუ უსულოს. მოულოდნელად გამეჩხრებულ ადგილს წავაწყდით — რამდენიმე ნორჩი ნაძვის ხე ვიღაც ბოროტის ხელს ძირში მოეჭრა და წაეღო. სიმწრისაგან გული შემეკუმშა. წარმოვიდგინე, როგორ ჩამოუარა იმ ვიღაცამ ნაძვების მწკრივს, ნაჯახის ყუის შემოკვრით თოვლი ჩამობერტყა და მერე ყველაზე ლამაზები, ტანადები შეარჩია... თავის „კეთილდღეობას“ შესწირა ბუნების — ამ სახალხო დოვლათის მშვენებანი. ჩემი აზრით, ასეთ ადამიანს მკაცრად უნდა მოეთხოვოს პასუხი.

ყველა ჩემს თანატოლს, ყველა პიონერ-მოსწავლეს მოვუწოდებ ფხიზლად იდგნენ ჩვენი დედაბუნების სადარაჯოზე, დაუნდობლად ამხილონ ყველა ისინი, ვინც უდიერად ექცევა ჩვენს ძვირფას საუნჯეს. ეს ხომ ყველა ჩვენგანის წმინდა ვალია.

მარინე პაპიძე,
ბორჯომის რაიონის დვირის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

**რედაქციისაგან:**

ძვირფასო ბავშვებო!

თქვენ ყველას გიყვართ ის გარემო, სადაც იზრდებით, ტკბებით ბუნების მშვენებით, სარგებლობთ მისი გულუხვობით. იცით ისიც, რომ ჩვენს ფლორასა და ფაუნას თვალის ჩინივით მოფრთხილება უნდა. [illegible]გვწერეთ, კონკრეტულად რას აკეთებს თქვენი რაზმეული, რაზმი, რგოლი, თითოეული თქვენგანი უსულგულო, საზოგადოებ[illegible]ვის მეტად მავნე ადამიანების მიერ ტყის, მდინარის, ტბის, გუბურის [illegible] სხვათა ხელყოფისაგან დასაცა[illegible]ად. თქვენს წერილებს „აისის“ ერთ-ე[illegible] უახლოეს ნომერში გამოვაქვეყნებთ.




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №8

## ქარი ქრის, ქარი ქრის...

იგი დაფიქრებული მიაბიჯებდა, ხელში გალაკტიონის ლექსების კრებული ეჭირა და უხაროდა რაღაც, თვითონაც არ იცოდა, რა.

გაყვითლებული ფოთლები ცვიოდა და ფიანდაზად ეფინებოდა ასფალტს. მიდიოდა და ხარბად ისუნთქავდა სურნელებას, რომელიც ასე უხვად შეზავებულიყო ჰაერში.

„მოდი ბაღში გავივლი“, — გაიფიქრა და ბაღისკენ გასწია. ბაღში ნამდვილი შემოდგომა დამდგარიყო. სკამზე ჩამოჯდა და მიმოიხედა. მის წინ დიდი ჭადრის ხე იდგა. ალაგ-ალაგ მწვანე და გაყვითლებული ფოთლები ერთმანეთს შერეოდა, რაც ფერების ლამაზ ჰარმონიას ქმნიდა. „მხატვარი რომ ვიყო, აუცილებლად დავხატავდი ამ ჭადარს, ცას და ფოთლების უთავბოლო ფარფატს“, — გაიფიქრა აღტაცებულმა.

უეცრად ქარმა წამოუბერა. ჭადრის ტოტები გადაზნიქა და ფოთლები ააშრიალა. ქროდა ქარი და აშრიალებდა ხეთა ფოთლებს. ბუნება რაღაც უცნაურ ჰანგებს უკრავდა თავის ჩანგზე. რა კარგია, როცა ჩუმად, გარინდებული უსმენ ბუნების იდუმალ მუსიკას!..

მთელ ცას თალხი ფერი გადაკვროდა. გველეშაპივით გაწოლილიყო ღრუბლები კაბადონზე.

წამოდგა, ნელა გაუყვა ფოთლებით მოფენილ ბილიკს. ზღვასთან მიდიოდა. ასე იცოდა ყოველთვის — ბაღში როცა გამოივლიდა, გული არ მოუთმენდა, ზღვა არ ენახა. ძალიან უყვარდა ზღვა. უყვარდა იგი წყნარი, როცა მისი კამკამა, ცისფერი ტალღები ნაზად ლოკავდა ნაპირს; უყვარდა ბობოქარიც, მჭექარეც, როცა ზღვაური აუწეწავდა თმას, აუფრიალებდა კაბის კალთას.

ზღვა ღელავდა, უზარმაზარ ტალღებს ურტყამდა ნაპირს; თოლიები დაფრინავდნენ ამ მოქანავე ტალღებზე. მთელი ცა დაფარულიყო თოლიებით.

„თოლიების ცა, თოლიების ცა“, — ჩურჩულებდა და უნდოდა ეს ჩურჩული ყველას გაეგონა. უნდოდა ყველას ცოდნოდა, თუ როგორ უყვარდა ეს ცა, ეს ზღვა და ეს პატარა ქალაქი, რომელშიც ცხოვრობდა, ფიქრობდა და ოცნებობდა ხვალინდელ დღეზე, მომავალზე...

... სწრაფი ნაბიჯით ბრუნდებოდა შინისაკენ. ხედავდა, როგორ არწევდა ქარი ხეებს, როგორ დანავარდობდა მათ ტოტებში, როგორ მიაფრიალებდა ასფალტზე დაყრილ ფოთლებს, თითქოს უნდოდა სხვაგვარი სიცოცხლე მიეცა მათთვის, სხვაგვარი სული ჩაედგა.

ბრუნდებოდა შინ და მიაცილებდა შემოდგომის ქარი, მიაცილებდა გალაკტიონის ლექსი:

ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ,
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ!..

ირგვლივ შემოდგომა სუნთქავდა.

ნაზი მიქელაძე,
ქ. ბათუმის მე-9 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

## დიდება!

ქუხს შრომის სიმღერა—
დიდ მყობადს გვპირდება.
შრომას და მშრომელ კაცს
დიდება!
იზრდება მამული,
დღითიდღე იზრდება,
მზადა ვართ, მის სავალს
გავედოთ ხიდებად.
დიდება სამშობლოს,
დიდება! დიდება!

იმირა მამედოვი,
კასპის რაიონის ზემო ხანდაკის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

## სურვილი

თვალწინ გადამეშალა
ცა უღრუბლო, კრიალა.
ლექსის წერა მომინდა
და სიმღერა წკრიალა.
მინდა მათზე ვიმღერო,
ვინც გმირულად იარა,
ვინც ჩვენს დიად ქვეყანას
მოურჩინა იარა!

ნატო კოჭლამაზაშვილი,
ყვარლის რაიონის სოფ. ახალსოფლის IX კლასის მოსწავლე.



# ჭაბუკის შურდული

**გურამ კლდიაშვილი**

მხატვარი ედ. ამბოკაძე

## პიესა 3 მოქმედებად

**მოქმედი პირნი:**

| | | |
|---|---|---|
| ჭაბუკა — მწყემსი | მგელი | |
| კოდალა | ჩერჩეტა, | |
| ავსულა — მავნე | ცბიერა, | |
| მწერების მეთაური | ხარაბუზა, | მავნე მწერები. |
| ნაძვი | ხვატარია, | |
| მზე | მზომელა, | |
| წყარო | მუიერა, | |
| ბერმუხა | მუხლუხო | |

## მოქმედება პირველი

ნაძვიანი და ყვავილებიანი ეზო. ისმის ფრინველთა გალობა. სცენის ერთ კუთხეში დგას ქოხი, სადაც ფანჯრის ახლოს ხვრინავს ჭაბუკა. სიმღერით შემოდის კოდალა, რომელიც გრძელი ნისკარტით ხან ერთ ხეს მიუკაკუნებს, ხან — მეორეს, თან მღერის:

კოდალა ვარ, ნისკარტა,
არაფერს ვსვამ წყლის გარდა.
ნელი კაკუნ-კაკუნით
ხეებზე ვარ აკრული.
როცა მავნე მწერებით
სნეულდება ხეები,
დავერევი ნისკარტით,
ყველას ვხოცავ ღვთისმადლით.

**ნაძვი** — დილა მშვიდობისა, კოდალა!

**ხმები** — იცოცხლე, კეთილო კოდალა!

— იდღეგრძელე, ჩვენო მფარველო!

**კოდალა** — გამარჯობათ, ფიჭვებო!
გამარჯობათ, ნაძვებო!
ჩემო ტანკენარებო!
ჩემო მწვანე და-ძმებო!
გაიფურჩქნეთ, იმრავლეთ,
აგვიმწვანეთ მთა-ველი,
არ დასტოვოთ ხრიოკი
მიწის ერთი მტკაველიც.

**ხმები** — გამარჯობა!

— იცოცხლე!

**კოდალა** — ხომ არაფერი გიჭირთ, ჩემო მეგობრებო?

**ნაძვი** — არა, ჩვენო მფარველო!

**კოდალა** — მაშ სხვა ეზოებშიც შევიხედავ. იქაურ ხეებსაც დავხედავ.
(მღერის)

ხარაბუზას, მზომელას,
ხვატარია — წურბელას,
ვინც ბუნების მტერია,
მუსრს გავავლებ სუყველას.

**ჭაბუკა** — (გაიღვიძებს) ბიიჭოს! ეს რა ჩიტი მოფრენილა, ჩემს ეზოში ასე რომ ტრაბახობს! ვინა ხარ. თავზე რომ დამჩხავი?

**კოდალა** — (კოდალა ვარ ნისკარტა).

**ჭაბუკა** — კოდალა? დიდი ვინმე ყოფილხარ! მერე, ვის ემუქრები, შენი შესაშინებელი კიდევ არის ამქვეყანაზე ვინმე?

**კოდალა** — ვის ვემუქრები და ხარაბუზას, მზომელას, ხვატარიას, მუხლუხოს... ყველას, ვინც ბუნების მტერია.

**ჭაბუკა** — დაიკარგე აქედან, შე ბაქიბუქავ!
(შემოდის ავსულა და მალულად უსმენს მათ)

**კოდალა** — ძალიანაც რომ შემეხვეწო, შენსკენ აღარც ვიზამ პირს.

**ჭაბუკა** — უჰ! მოვიკლავ თავს!

**კოდალა** — თავს რომ არ იკლავ, ამ მცენარეებს ეტყობა,—არც რწყავ და არც წამალს ასხურებ.

**ჭაბუკა** — რაებს მიბედავ, შე ტრაბახა! მე შენ გიჩვენებ სეირს! (ესვრის შურდულს)

**კოდალა** — ვაი, ფეხი! (კოჭლობით გადის)

**ჭაბუკა** — ხო-ხო-ხო... რა მოცოცხა!

**მცენარეები** — რას ერჩოდი, ჭაბუკა!
—ეს რა ჩაიდინე!

**ჭაბუკა** — როგორ თუ რა ჩავიდინე. ვერ ხედავთ, ალიონზე რომ დამადგა თავზე და გული გამიწყალა. თქვენც ხომ დაგერევათ ხოლმე და გკორტნით.

**ნაძვი** — რას ამბობ, ჭაბუკა! კოდალა რომ თავისი გრძელი ნისკარტით არ გვიკაკუნებდეს, აქამდე



გადავშენდებოდით. კოდალა ჩვენი მკურნალია.

**ჭაბუკა** — მკურნალი?!

**მცენარეები** — დიახ, სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს. — ინანებ, ჭაბუკა! მწარედ ინანებ!

(ისმის ცხვრების კიკინი)

**ჭაბუკა** — არაფერსაც არ ვინანებ. (თავისთვის) შუადღე წამოსულა. შიმშილით დამეხოცება ცხვარი. (გადის)

**ავსულა** — (თავისთვის) შენს პირს შაქარი, ჭაბუკა! რაკი კოდალა ჩამოგვაშორე, აწი ჩვენს ბედს ძაღლი ვერ დაჰყეფს.

ფ ა რ დ ა

## მოქმედება მეორე

პირველი მოქმედების დეკორაცია. მარშით შემოდის ავსულა თავისი ლაშქრით.

**ავსულა** — ათეულო, სდექ! (კითხულობს სიას) ჩერჩეტა!

**ჩერჩეტა** — ვარ!

**ავსულა** — ცალ-ცალკე „ვარო", არ გამაგონოთ! გასაგებია?

**ლაშქარი** — გასაგებია!

**ავსულა** — ხარაბუზა!
— ხვატარია!
— მზომელა!
— მშიერა!
— მუხლუხო!
— ცბიერა!

**ლაშქარი** — ვაართ!

**ავსულა** — თავისუფლად!

**ლაშქარი** — (შვებით) უუჰ!

**ავსულა** — სმენა იყოს და გაგონება, თორემ ვიღაცა გაგორდება! ამიერიდან ამ ეზოს ბატონ-პატრონი ჩვენა ვართ, ეს მცენარეები ჩვენი ლუკმაა. ამ დილით ჩემი თვალით დავინახე, თუ როგორ მოატეხა ჭაბუკამ ფეხი ჩვენს დაუძინებელ მტერს კოდალას. გიბრძანებთ, ახლავე შეესიოთ მცენარეებს და სამუდამოდ ჩაუსახლდეთ სხეულში, კანქვეშ. გასაგებია?

**ლაშქარი** — გასაგებია! (შეესევიან მცენარეებს)

**მცენარეები:** — შეგვჭამეს!
— ეს რა დღეში ჩაგვაგდო ჭაბუკამ!

(დახრიან ტოტებს)

**ავსულა** — (გახარებული) გასკდი, კოდალავ, გულზე! ესეც ასე! (მღერის)

მე ვარ ლაფნიჭამია,
მეძახიან ავსულას,
როცა მომშივდება,
ნაძვის გულშიც ჩავსულვარ,
ნესტარს ვისაც ჩავასობ,
ჩამოვახმობ ყველასა,
ლაშქარი მყავს უბადლო,
დელი-დელი, დელასა! (გადის)

(ისმის ჭაბუკას სალამურის ხმა. შემოდის და გაოცებული შესცქერის ტოტებდახრილ, ჩამომჭკნარ მცენარეებს)

**ჭაბუკა** — ეს რა უბედურებაა! რამ დააჭკნო და ჩამოახმო მცენარეები?!

**ნაძვი** — (შეირხევა) ჩვენი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია.

**ჭაბუკა** — (მივარდება ნაძვთან) ცოცხალი ხარ, ჩემო ნაძვისხეო? ეს რა დაგემართათ? ასე უმოწყალოდ რამ გაგახმოთ? (ეფერება მცენარეებს) ვინ დაგვღუპა და ამოგვაგდო?

**მცენარეები** — შენ დაგვღუპე!
— შენ ჩამოგვახმე!

**ნაძვი** — ხომ გაგაფრთხილეთ: მწერები შემოგვესევიანთქო.

**ჭაბუკა** — მერე, მე რა შუაში ვარ?

**ნაძვი** — როგორც კი კოდალა ეზოდან გააძევე, მავნე მწერები დაგვერივნენ და სისხლს გვწოვენ.

**ჭაბუკა** —ეს რა მომივიდა! რა წყალში ჩავვარდი! მითხარით მაინც როგორ შემიძლია თქვენი ხსნა.

**ნაძვი** — სანამ გვიან არ არის, კოდალა მოძებნე და შეევედრე დაბრუნდეს, მის მეტს არავის შეუძლია ჩვენი შველა.

**ჭაბუკა** — კოდალა? რა პირით ვთხოვო დახმარება, როცა ეზოდან კისრისტეხით გავაგდე. ნაძვისხეო! ფიჭვო! მითხარით, სად ვიპოვო კოდალა.

**ნაძვი** — აიკარი გუდა-ნაბადი და ეძიე, სადაც თვალი და ყური მიგიწვდება. ხომ გითხარით, ინანებთქო!

**ჭაბუკა** — (აიღებს ჩანთას და შურდულს) ოღონდ ცოტა გაძლეით და ან ვიპოვი კოდალას, ანდა მეც გადავიკარგები. (გაუდგება გზას) კოდალა, უუუ!... (შეხვდება ტოტებჩამოყრილი ბერმუხა), გამარჯობა, ბერმუხავ!

**ბერმუხა** — ღმერთმა გაგიმარჯოს, შვილო!

**ჭაბუკა** — აგრე რამ დაგაჩანაკა?

**ბერმუხა** — რაც კოდალამ მიმატოვა, მის მერე მავნე მწერები სიცოცხლეს მიმწარებენ, მახმობენ. ვიღაც ბიჭს ფეხი მოუტეხია მისთვის... კოჭლობით აიარა, თანაც მთელი ტყის კოდალები უკან მისდევდნენ.

**ჭაბუკა** — საით წავიდნენ, ბერმუხავ?

**ბერმუხა** — აბა რა ვიცი, შვილო, ტყეს ათასი ბილიკი აქვს.

**ჭაბუკა** — რა ვქნა, რომელ ბილიკს დავადგე.

**ბერმუხა** — შენ რაღა გაწუხებს?

**ჭაბუკა** — რაც თქვენ გაწუხებთ. მთელი ტყე გახმობის პირზეა მისული.

**ბერმუხა** — შენ გაიხარე, კეთილო ბიჭუნავ, ასე რომ ზრუნავ ჩვენზე. ღმერთმა მშვიდობის გზა მოგცეს. იმ ბოროტ ბიჭუნას კი სამაგიერო მოუვა.

**ჭაბუკა** — (თავისთვის) ეს რა მესმის! რომ იცოდეს, ის ბიჭი მე ვარ... ნახვამდის, ბერმუხავ! (მიდის) კოდალააა!

(ამოდის ბრდღვიალა მზე)

**ჭაბუკა** — როგორ დაცხა! სული მეხუთება! წყალი მაინც იყოს სად-



მე... (მზეს) დიდებულო მზეო! ასე ძალიან რატომ აცხუნებ, დავიწვი.

**მზე** — მე ძველებურად ვაცხუნებ, ყმაწვილო, მაგრამ საჩრდილობელი ხე რომ აღარ ჭაჭანებს, ამიტომ ცხელა.

**ჭაბუკა** — მერედა, იცი რამ გაახმო?

**მზე** — მავნებელმა მწერებმა გაანადგურეს, არაფერს არ ინდობენ. აქამდე ხეებს კოდალები იცავდნენ, მაგრამ ვიღაც...

**ჭაბუკა** — (აწყვეტინებს და აგრძელებს) ვიღაც ბოროტ ბიჭს რომ კოდალასათვის ფეხი არ მოეტეხა, გაანადგურებდა ლაფნიჭამიებს, პარკიხვევიას, მუხლუხოს, ხვატარიას, მზომელას, ხარაბუზას...

**მზე** — დიახ, აგრეა, ყმაწვილო! პარაზიტებისაგან მცენარეებს კოდალები, გუგულები, ნამგალები და წიწკანები იცავენ.

**ჭაბუკა** — იქნებ არც იცოდა იმ ბიჭმა, რა მოჰყვებოდა მის წინდაუხედაობას...

**მზე** — ნუ ამართლებ იმ გულქვას. მას უნდა სცოდნოდა, რომ ტყე წმენდს ჰაერს, ამდიდრებს მას ჟანგბადით, რომლითაც სუნთქავს და ცოცხლობს ყველა სულდგმული.

**ჭაბუკა** — ნუთუ მართლა ასეთი ძალა აქვს ტყეს!

**მზე** — ვინ მოსთვლის რამდენი სიკეთის მომტანია მცენარეები! ბორჯომის, აბასთუმნის, შოვის, ბახმაროს და სხვა კურორტების არსებობა ტყეზეა დამოკიდებული.

**ჭაბუკა** — დიდებულო მზეო! შენს სიდიადესთან სხვა რა სახსენებელია!

**მზე** — სცდები, ყმაწვილო! ურთმანეთოდ არსებობა არ შეგვიძლია: მზე, ტყე, მიწა და მდინარე ყველა აუცილებელია სიცოცხლისათვის.

**ჭაბუკა** — ერთნაირად ლაპარაკობთ: შენც, ბერმუხაც, ნაძვიც, ფიჭვიც.

**მზე** — ვინც გონიერია, ყველა ასე იტყვის... თუ სადმე წააწყდები იმ ბოროტ ბიჭუნას, სამაგიერო მიუზღე.

**ჭაბუკა** — (ნერვიულად) აღარ შემიძლია მეტის ატანა. სად წავიდე! (განაგრძობს გზას. შეისვენებს დამშრალ წყაროსთან) ცეცხლი მეკიდება, თავბრუ მეხვევა... იქნებ ვინმე სალამურის ხმას გამოყვეს. (უკრავს სალამურს. შემოდის კოდალა). არავინ არ ჩანს.

**კოდალა** — (თავისთვის) როგორი ნაცნობი სალამურის ხმაა!... ამას ვის ვხედავ, ჭაბუკა! (ამოეფარება ხეს)

**ჭაბუკა** — ღმერთო! წყალი, ერთი წვეთი წყალი... (კოდალა წყაროსთან დაუდგამს წყლიან მათარას) წყალი!.. (სვამს) შენ გაიხარე, წყაროვ! ეს რა სიკეთე მიყავი, სული მომიბრუნე.

**წყარო** — არა, ყმაწვილო! ეს წყალი მე არ მომიცია. იგი ბუნების კეთილმა შვილმა მოგაწოდა. მე წყარო მქვია, მაგრამ წყლის წვეთიც არ გამაჩნია.

**ჭაბუკა** — შენ მაინც რა დაგემართა, ენაჩანჩქერა წყაროვ?

**წყარო** — როცა ტყე ხმება, მეც ვიწრიტები და ვშრები. ჩვენს ტყეს მავნე მწერები შეესია და ანადგურებენ. ტყის მფარველი კოდალასნაირი ფრინველები კი ვიღაც მწყემსმა აიძულა გადაკარგულიყვნენ.

**ჭაბუკა** — ვიცი, ყველაფერი ვიცი. ის მწყემსი მე ვარ.

**წყარო** — შენ?!

**ჭაბუკა** — მე მოვტეხე ფეხი კოდალას. მას დავეძებ, ძილი არ მაქვს და მოსვენება, საჭმელი და სასმელი. ყველას ვევედრები, მიმასწავლოს მისი ადგილ-სამყოფელი, რომ მაპატიოს, შემიცოდოს და სიცოცხლე დაუბრუნოს ტყეს, ჩემი ეზოს მცენარეებს.

**წყარო** — შენ თუ აწყენინე, ჩვენ რაღა დავუშავეთ, ასე რომ გაგვწირა!

**ჭაბუკა** — ჩემი ბრალია, წყაროვ, კოდალას ნუ ემდურები.

**წყარო** — (წყევლის) წყეულიმც იყავ, თუ ასეთი ბოროტი ხარ! მწყურვალს წყალი დაგშრობოდეს, მცივანს მზე ჩაგქრობოდეს, ჩრდილი ვერ გეჩრდილოს, სახლისაკენ მავალს გზაკვალი აგრეოდეს, თავს მეწყერი დაგცემოდეს! (ამოვარდება ქარიშხალი)

**ჭაბუკა** — მიშველეთ! ვიღუპები! მიშველეთ! გავიგუდე! ვინა ხართ ძეხორციელი! (კოდალა ხეზე მიაბამს ჭაბუკას და შორიდან უთვალთვალებს) რომელი ხარ, ჩემო მხსნელო; სახელი მაინც მითხარი. (ქარიშხალი ჩადგება, ჭაბუკა თავს გაითავისუფლებს) ეს ვინ კეთილი სული მფარველობს?! (მიმოიხედავს) რომელი ხარ, მწყურვალს წყალს რომ მასმევ, ქარიშხალს რომ მარიდებ! (იძახის) დამენახე, მადლობა მაინც გითხრა!.. არავინ არ ჩანს... როგორ დავიღალე... აღარც ფეხები მემორჩილება... (ჩამოჯდება და თავს ჩაქინდრავს)

**კოდალა** — (თავისთვის) როგორ გაჭირვებია! არ არის შესაცოდებელი, მაგრამ რაკი ასე ნანობს და განიცდის თავის დანაშაულს, უნდა ვაპატიო. (აართმევს შურდულს) ამით მომატეხა ფეხი... რაო, წყარომ რა თქვა? „შენ თუ აწყენინე, ჩვენ რაღა დავუშავეთო". მართლაცდა, სხვები რა შუაშია. (ისმის მგლის ყმუილი) მგელი! (შემორბის მგელი. კოდალა ამოეფარება ხეს და შურდულს მოიმარჯვებს. მგელი დაყნოსავს იქაურობას, მერე ჭაბუკასაკენ გასწევს, მაგრამ ამ დროს კოდალა შურდულს ესვრის და მგელი ყმუილით გარბის) ესეც შენ! (კვლავ შემოვარდება მგელი) ვაიმე! ჭაბუკა! (მგელი ეცემა ჭაბუკას)

**ჭაბუკა** — (წამოხტება) მიშველეთ! (მგელს შეატოვებს ჩანთას)

**კოდალა** — (მალულად) ნუ გეშინია! (შურდულს ესვრის მგელს, მაგრამ ჭაბუკას მოხვდება თავში)

**ჭაბუკა** — ვაი, თავი!

**კოდალა** — შენ მოგხვდა? (ჭაბუკა მგელს სალამურს შეაჩეჩებს პირში. კოდალა შურდულს ესვრის და მგელი სალამურის სტვენით გარბის), ბიჭოს, მგელს სალამურის დაკვრა სცოდნია! (იცინიან) თავი გაგიტეხე?

**ჭაბუკა** — (მოულოდნელი სიხარულით) კოდალა, შენა ხარ? სწორედ მაგ შურდულით უნდა გამტეხოდა თავი, რომლითაც ფეხი მოგტეხე, კოდალა! ჩემო ძვირფასო კოდალა!

**კოდალა** — მიცანი ჭაბუკა?

**ჭაბუკა** — (გადაეხვევა) მაპატიე, ჩემო კოდალა, ყველაფერი მაპატიე! მე არ ვარ შებრალების ღირსი, მაგრამ ისინი შეიბრალე, ვინც ჩემი მიზეზით იტანჯება. შენ მიგელიან გაძარცული ტყეები, დამშრალი წყაროები, დასიცხული ცხოველები, ჩემი ეზოს მცენარეები... (ტირის)

**კოდალა** — ვიცი, ყველაფერი ვიცი, ჭაბუკა. აბა, სასწრაფოდ გავსწიოთ, თორემ მთლად გააჩანაგებენ მწერები ყველაფერს.

**ჭაბუკა** — იქნებ ცოცხლებს მივუსწროთ.

**კოდალა** — წავიდეთ! (მიდიან)

ფ ა რ დ ა

## მოქმედება მესამე

პირველი მოქმედების დეკორაცია. ჭაბუკას ეზოში დაიბღინძება ავსულა.

**ავსულა** — (იძახის) გულადების ლაშქარო, ჩემთან! (შემორბის ლაშქარი) სმენა იყოს და გაგონება, თორემ ვიღაცა გაგორდება. რას შვრებოდით?



**ლაშქარი** — მცენარეების გულში ჩავძვერით.

**ავსულა** — ყოჩაღ! ვინ გასწავლათ გულში ჩაძვერითო?

**ლაშქარი** — თქვენ, დიდო სარდალო!

**ავსულა** — ყოჩაღ! რამდენ ხანს გეყოფათ ეს მცენარეები?

**ლაშქარი** — ხვალამდე!

**ავსულა** — ყოჩაღ! კარგია! აქ რომ მოვრჩებით, გადავინაცვლებთ ბორჯომის, აბასთუმნის, შოვის, ბახმაროს ხეობებში. გასაგებია?

**ლაშქარი** — გასაგებია!

**ავსულა** — ტყეებს რომ მოვსპობთ, გაბერწდება მიწა. მიწა რომ გაბერწდება, მოისპობა საკვები. საკვები რომ მოისპობა, მოისპობიან ფრინველები, ცხოველები და ეს ქვეყანა დაგვრჩება ჩვენ. ვაშა!

**ლაშქარა** — ვაშააა!

**ჩერჩეტა** — დიდო სარდალო! ამბობენ: ადამიანებმა მიწის დასაცავად ხევების კალთები, ქვიშრობები ახალი ნარგავებით დაფარეს, ქარსაცავი ზოლები გააშენესო.

**ავსულა** — (განრისხდება) რაო, რა წამოიჩერჩეტე? (გაროზგავს) ესეც შენ! (ჩერჩეტა ბღავილით გადის) ლაშქარო! რამდენი მცენარე გამოასალმეთ სიცოცხლეს?

**ლაშქარი** — ათასი!

**ავსულა** — ცოტაა! აბა, ჩქარა მიხედეთ საქმეს! (ლაშქარი გადის) ესეც ასე! ხვალ ამ ეზოში არც ერთი მცენარე ცოცხალი აღარ იქნება. (მიდის აიწონა-დაიწონასთან, ცალმხარეს ჩამოჯდება და დაიწონება. შემდეგ მეორე მხარეს ჩამოჯდება და ფიცარიც მეორე მხარეს დაიწონება. დაფიქრდება. აიღებს ხის კუნძს და დაადებს ფიცრის ერთ მხარეს) ჭკუის კოლოფი ვარ! (ფიცრის მეორე მხარეს თვითონ ჩამოჯდება) აიწონა-დაიწონა... (ფრთხილად შემოდიან ჭაბუკა და კოდალა) აიწონა-დაიწონა...

**კოდალა** — (თავისთვის) მე შენ მოგცემ აიწონა-დაიწონას!

**ჭაბუკა** — სსსუუ...

**ავსულა** — (შეკრთება) ა? რაღაც სისინებს მგონი. (მიმოიხედავს) ალბათ მომეჩვენა... (ისევ ჩამოჯდება) აიწონა-დაიწონა, ქე ვყოფილვარ კუნძის წონა. ბიიჭოს, ლექსი გამომივიდა:

ქე ვყოფილვარ კუნძის წონა —
აიწონა-დაიწონა!
რა სჯობია უქმად წოლას —
აიწონა-დაიწონა!

(ჭაბუკა მიეპარება, დაახტება ფიცრის მეორე მხარეს და ავსულა



ჰაერში ამოტრიალდება, თვითონ მიიმალება) რა მოხდა? (დაჯდება ძველებურად) ერთხელაც ვსინჯო. (ჭაბუკა კვლავ დაახტება და ავსულაც ამოტრიალდება. როცა წამოდგება, დაინახავს ჭაბუკას და კოდალას) ჭაბუკა? კოდალა? (გაიქცევა და ღობეში გაიჩხირება.

**ჭაბუკა** — არ გაგვექცეს ეს წყეული!

**კოდალა** — სად წაგვივა. (გავაზე დასცხებს ნისკარტს)

**ავსულა** — მიშველეთ, მომკლეს!

**კოდალა** — ხმა ჩაიწყვიტე!

**ავსულა** — ყველაფერი იმათი ბრალია. ხომ დაინახეთ, მე აიწონა-დაიწონას ვთამაშობდი, ისინი კი ნაძვების, ფიჭვებისა და ჭადრების კანქვეშ არიან შემძვრალნი და ღრღნიან.



**კოდალა** — ჩქარა უხმე ლაშქარს!

**ავსულა** — ლა... ლაშქარო! ჩე... ჩემთან მოდი!

(შემოდის ლაშქარი)

**ავსულა** — სად ეგდეთ აქამდე?

**ლაშქარი** — მცენარეთა გულში ჩავძვერით.

**ავსულა** — (ჭაბუკას და კოდალას) ხომ გაიგონეთ? (ლაშქარს) სად იყავით?

**ლაშქარი** — მცენარეთა გულში.

**ავსულა** — ვინ გითხრათ, ჩაძვერითო?

**ლაშქარი** — თქვენ, დიდო სარდალო!

**ავსულა** — (განრისხდება) მეე?

**ლაშქარი** — დიახ, დიდო სარდალო!

**ავსულა** — (მათრახს მოუღერს) ო, თქვე ჯალათებო, მტანჯველებო!

**ცბიერა** — (ავსულას) თქვენ არ გიბრძანებიათ დიდო სარდალო.

**ავსულა** — (გახარებული) ყოჩაღ, ცბიერა! მაშ ვინ გიბრძანათ?

**ცბიერა** — თქვენ ისე გამოგვრწყვნეთ, რომ ბრძანება აღარ გვჭირდება.

**ავსულა** — დაიკარგე აქედან! (დაერევა ლაშქარს და დახოცავს) აჰა, გავწყვიტე ეს სისხლის მწოველები.

**ნაძვი** — მთავარი სისხლისმწოველი შენა ხარ. შენს ბრძანებას ასრულებდნენ ესენი.

**ჭაბუკა** — (გახარებული შემოეხვევა) ნაძვისხეო, ცოცხალი ხარ?

**ნაძვი** — ცოცხალი კი არა — ცოცხალმკვდარი...

**კოდალა** — ვინ იცის, როგორ გტანჯავდნენ!

**ნაძვი** — სულზე მოგვისწარი, კოდალა!

(ავსულა ცდილობს გაიპაროს)

**ნაძვი** — არიქა, ავსულა მიიპარება!

**კოდალა** — (გაეკიდება და ავსულა ღრიალით გადაიჩეხება ხევში). გადაიჩეხა!

**ნაძვი** — სამართალმა პური ჭამა!

**კოდალა** — ჩაესვენა ლაფნიჭამიების მზე. ჭაბუკა, აბა, ჩემო მეგობარო, მცენარეებს მივხედოთ...

**ჭაბუკა** — ახლავე.

**კოდალა** — (ჩამოუვლის ნარგავებს. ნისკარტით ხან ერთ ხეს მიუკაკუნებს, ხან — მეორეს, თან მღერის)

კოდალა ვარ, ნისკარტა,
არაფერს ვსვამ წყლის გარდა.
ნელი კაკუნ-კაკუნით
ხეებზე ვარ აკრული.
როცა მავნე მწერებით
სნეულდება ხეები
დავერევი ნისკარტით —
ყველას ვხოცავ ღვთისმადლით.

(თანდათან ცოცხლდება მცენარეთა რტოები).

**ჭაბუკა** — იმღერე, ჩვენო კოდალა, იმღერე! (ხეებზე ჰკიდებს პატარა სახლებს) ამიერიდან ეს ეზო-გარემო ჩვენია. (გადაეხვევიან ერთმანეთს და დგებიან ავანსცენაზე)

**ჭაბუკა** — საყვარელო ბავშვებო, აქ დასრულდა ზღაპარი.

**კოდალა** — გყვარებოდეთ მამულის მოხატული მთა-ბარი!

**ჭაბუკა** — ჩვენი მიწა, ჩვენი ტყე. ჩვენი დედა-ბუნება,

**კოდალა** — მუდამ გყავდეთ მოვლილი,
მუდამ გყავდეთ უვნებლად.

**ჭაბუკა** — დაე მუდამ ჰყვაოდეს მცენარეთა კვირტები,

**კოდალა** — დღეგრძელობდეს ჩვენი ტყე—
ჩვენი მწვანე ფილტვები!

ფ ა რ დ ა



**განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი შოთა ინწკირველი**

ამ წერილში გაგაცნობთ თითო პარტიას მსოფლიო ჩემპიონების ნონა გაფრინდაშვილისა და რობერტ ფიშერის ადრინდელი შემოქმედებიდან.

დიდ ქართველ მოჭადრაკე ქალს ნონა გაფრინდაშვილს შემოქმედებითი სიღრმით და ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებში შედეგებით ისტორიაში ბადალი არა ჰყავს. გთავაზობთ მის ერთ-ერთ ულამაზეს პარტიას, ნათამაშევს საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატში.

პარტია № 1

**სიცილიური დაცვა**

თბილისი, 1963 წ.

თეთრები: **ნ. გაფრინდაშვილი**

(საერთაშორისო ოსტატი. თბილისი)

შავები: **ა. გლაგიძე**

(ოსტატი. თბილისი)

1. e4 c5 2. მc3 მc6 3. f4 g6 4. კb5 მd4 5. კc4 კg7 6. მg—e2 e6 7. მ:d4

ნონამ ჩაიფიქრა პაიკის შეწირვა, რომლის მიზანია ჩქარი განვითარება და f ხაზის გახსნა.

7 . . . ed 8. მe2 ლh4+ 9. მg3 ლ:f4 10. d3 ლc7 11. 0—0 მe7 12. კg5 მc6



აქ ცხადად ჩანს თეთრების უპირატესობა ფიგურების განვითარებაში. უპირატესობა კი აუცილებელი პირობაა შეტევისათვის, კომბინაციისათვის. (განვითარებაში უპირატესობის დროებითი ხასიათის შესახებ იხ. „პიონერი" 1974 წ. №№ 6, 7). აუცილებელია ზუსტად და მწვავედ კომბინირების უნარი, რათა უპირატესობა მოგებად გარდაიქმნას. ნონა პოულობს პრობლე-



**საიდან იღებენ რძეს?**

ამერიკელი სოციოლოგების მიერ ბოსტონის სკოლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა ნახევარზე მეტის აზრით რძეს, ლუდისა და კოკა-კოლას მსგავსად, ქარხნებში ხელოვნურად აწარმოებენ. სკოლების მესვეურებმა სასწრაფოდ მოაწყვეს მასობრივი ექსკურსიები ადგილობრივ ზოოპარკში, რათა მოსწავლეებს საკუთარი თვალით ენახათ, საიდან მიიღება რძე.

**საფანტი, რომლის გადაყლაპვაც შეიძლება**

კანადაში, თურმე, გარეული იხვების დიდი ნაწილი იღუპება არა მონადირეთა ნასროლით, არამედ აცდენილი საფანტით. ყოველწლიურად წყალში 6 ათასი ტონა საფანტი ცვივა. წყლისპირას შლამში მატლებს,

მის ბრწყინვალე კომბინაციურ გადაწყვეტას.

13. მh5!!! gh 14. ე:f7!! ლe5 (თუ 14 . . . მფ:f7, მაშინ 15. ლ:h5+მფg8 16. ლe8+კf8 17. ეf1)

15. ეf5! შავები დანებდნენ.

მომხიბვლელი, დიდებული ქმნილებაა!

დიდი ამერიკელი მოჭადრაკე რობერტ ფიშერი ეროვნებით გერმანელია. იგი დაიბადა ჩიკაგოში 1943 წლის 9 მარტს. 15 წლისამ საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მოიპოვა. ასეთი რამ არ ახსოვს ჭადრაკის ისტორიას. ფიშერი მსოფლიოს მეთერთმეტე ჩემპიონია.

ქვემოთ მოყვანილ პარტიაში, რომელსაც „საუკუნის საუკეთესო პარტია“ უწოდეს, 13 წლის ფიშერმა დაამარცხა ცნობილი ამერიკელი მოჭადრაკე ბირნი. პარტიამ პრიზი მიიღო.

პარტია № 2

**გრიუნფელდის დაცვა**

თეთრები: **ფიშერი.** შავები: **ბირნი.**

1. მf3 მf6 2. c4 g6 3. მc3 კg7 4. d4 0—0 5. კf4 d5

სვლების გადაადგილებით შეიქმნა გრიუნფელდის დაცვისათვის დამახასიათებელი პოზიცია. დიდოსტატმა და თეორეტიკოსმა ერნსტ გრიუნფელდმა (ავსტრია) ეს დებიუტი პირველად 1922 წელს გამოიყენა. შავები დროებით თმობენ ცენტრს, მაგრამ შემდეგ აწარმოებენ მასზე ფიგურებით დაწოლას და არღვევენ პაიკებით (c7—c5).

6. ლb3 dc 7. ლ:c4 c6 8. e4 მb—d7 9. ეd1 მb6 10. ლc5 კg4 11. კg5 მa4! 12. ლa3 (თუ 12. მ:a4 მ:e4 13. ლ:e7 ლ:e7 14. კe7 ეf—e8). 12 . . . მ:c3 13. bc მ:e4 14. კ:e7 ლb6 15. კc4 (თუ 15. კ:f8 კ:f8 16. ლb3 მ:c3 17. ლ:b6 ab შავების უპირატესობით)

15 . . . მ:c3 16. კc5 ეf—e8+17. მფf1



17 . . . კe6!!

მოულოდნელი და ზედმიწევნით მახვილგონიერი გაგრძელებაა.

18. კ:b6

(თუ 18. კe2, მაშინ 18 . . . 2b5 19. ლb4 ლd8 შავების უპირატესობით. ლამაზი, ე. წ. „დახშული შამათი“ კეთდება ვარიანტში: 18. კ:e6 ლb5+ 19. მფg1 მe2+ 20. მფf1 მg3++ 21. მფg1 ლf1+! 22. ე:f1 მe2×)

18 . . . კ:c4 + 19. მფg1 მe2+ 20. მფf1 მ:d4+ („წისქვილი“ ამუშავდა) 21. მფg1 მe2+ 22. მფf1 მc3+ 23. მფg1 ab 24. ლb4 ეa4 25. ლ:b6 მ:d1 26. h3 ე:a2 27. მფh2 მ:f2 28. ეe1 ე:e1. 29. ლd8 კf8 30. მ:e1 კd5 31. მf3 მe4 32. ლb8 b5 33. h4 h5 34. მe5 მფg7 35. მფg1 კc5 + 36. მფf1 მg3 + 37. მფe1 კb4 + 38. მფd1 კb3 + 39. მფc1 მe2+ 40. მფb1 მc3 + 41. მფc1 ეc2×.

მშვენიერი პარტიაა! ნორჩი მოჭადრაკის ბრწყინვალე შემოქმედებითი გამარჯვებაა.

პოზიცია № 1



ამ პოზიციაში თეთრებმა ითამაშეს 1. მe6 და ჩათვალეს, რომ პარტიის ბედი გადაწყვეტილია მათ სასარგებლოდ. სინამდვილეში კი ისინი გაებნენ მეტად ცბიერად დაგებულ მახეში. რამდენიმე სვლაში შავებმა მოიგეს.

ველით თქვენს ამოხსნას.

ჭიალუებს და სხვა სასუსნავს რომ ეძებენ, იხვები ტყვიის საფანტსაც აწყდებიან და ყლაპავენ მას. ამ ლითონის მჟავა კი ძალზე მომწამვლელია.

ამას წინათ კანადაში გამოუშვეს ახალი სანადირო საფანტი, რომლის ზედაპირი თხელი უჟანგავი ფენითაა დაფარული.

„ცხენმოზილი“

ჰამბურგის ქუჩებში გამოჩნდა მსოფლიოში პირველი (და, ალბათ, უკანასკნელიც) „ცხენმობილი“. მისმა პატრონმა ბენზინის ნამწვავით გარემოს გაჭუჭყიანების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, თავის ახალთახალ ავტომობილს მოტორი მოხსნა და გაყიდა. აღებული ფულით ცხენი იყიდა და დაიწყო ქალაქში სიარული „ავტომობილით“, რომლის სიმძლავრე ერთი ცხენის ძალაა. მოტორისაგან განთავისუფლებულ ადგილას „ცხენმობილის“ პატრონმა დაწნეხილი თივა და თოფრით შვრია მოათავსა.

**ანტიკური ლარნაკების მდიდარი კოლექცია**

ოდესის არქეოლოგიურ მუზეუმში ინახება მდიდარი კოლექცია ანტიკური ვაზებისა, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია თვალი გავადევნოთ ძველი კერამიკის განვითარების ათასწლეულ პერიოდს. ექსპონატებს შორის არის ძველბერძნული, ძველრომაული, ეტრუსკული და იტალიური ლარნაკები. მათი ხნოვანება **1600-2600** წელს ითვლის. ზოგიერთ ლარნაკზე გამოსახული სიუჟეტები გვაცნობს ძველი ბერძნებისა და რომაელების ყოფა-ცხოვრებასა და კულტურას.

**შარფი ჟირაფისათვის**

სტოკჰოლმის ზოოპარკში ცხოვრობს ჟირაფი, სახელად კონრადი. იგი იქაურ ბავშვებში დიდად პოპულარულია. შარშან, როგორც კი აცივდა, **800** მოსწავლემ მას **25** მეტრი სიგრძის შარფი მოუქსოვა.

**მუსიკა 3700 წლისაა!**

შვიდი ტონი და ნახევარტონები, რომლებსაც ეფუძნება ევროპული მუსიკა, დღემდე ძველბერძნების გამოგონებად იყო ცნობილი და მისი ხანგრძლიობა **2400** წლით განისაზღვრებოდა. მაგრამ აი, **15** წლის გულმოდგინე შრომის შემდეგ, ბერკლის (ინგლისი) უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა ამოიკითხა ჩვენი საუკუნის ორმოცდაათიან წლებში სირიაში ნაპოვნი ცხრილი. იგი დამზადებულია ფინიკიაში **3700** წლის წინათ და თავისებურ ნოტებს შეიცავს. უნივერსიტეტის ერთ-ერთმა პროფესორმა შუმერული ქნარის მიხედვით გაკეთებულ საკრავზე შეასრულა გაშიფრული მელოდია. მსმენელებს ასე ეგონათ, თითქოს თანამედროვე ნაზ იავნანას უსმენენო.

# ვარჯიში ოთახში

„პიონერის“ დეკემბრის ნომერში დავბეჭდეთ ვარჯიშთა მთელი ციკლი, განკუთვნილი იმათთვის, ვისაც ხანგრძლივად უხდება ჯდომა. აქ კიდევ მოგვყავს რამდენიმე ასეთი ვარჯიში. ისინი იოლია და მათი შესრულება დღეში რამდენჯერმე (2-3-ჯერ) შეიძლება და ამასთანავე არც დრო დაგეკარგება ბევრი. გავიხსენოთ, რომ ხანგრძლივი ჯდომით ძალზე ილლება წელი, ზურგი, მხრები, კისერი, ირღვევა სისხლის მიმოქცევა და ამის შედეგად ორგანიზმი საგრძნობლად კარგავს შრომის უნარს. მაშ ასე, შეუდექი ახალი ვარჯიშების შესრულებას.




1. ჩამოჯექი სკამის კიდეზე ისე, რომ მხრებით საზურგეს მიეყრდნო. ფეხები გაჭიმე. ხელები დაუშვი. გაშლილი მკლავები თანდათან ასწიე მაღლა, უცქირე ხელებს, გაიჭიმე და ღრმად ჩაისუნთქე. შემდეგ დაუბრუნდი საწყის მდგომარეობას და ამოისუნთქე. გაიმეორე 4-6-ჯერ.

2. დაჯექი სკამზე, მჭიდროდ მიეყრდენი საზურგეს, ხელები სკამს ჩასჭიდე, ფეხები რიგრიგობით გამართე და მოხარე. ფეხის გამართვის დროს ტერფი გაჭიმული უნდა გქონდეს. გაიმეორე 6-8-ჯერ.

3. დაჯექი სკამზე, ფეხები მხრების სიგანეზე გაშალე, გააკეთე დონჯი, ტანი ჯერ გამართე, მერე მარცხნივ გადახარე და მარცხენა ხელის თითებით იატაკს შეეხე — ამოისუნთქე. დაუბრუნდი საწყის მდგომარეობას, ჩაისუნთქე. ეს მოძრაობა მარჯვნივაც გააკეთე.

4. სკამის საზურგეს ერთი ნაბიჯით მოცილდი, ღრმად ჩაისუნთქე. შემდეგ წინ გადაიხარე, გამართული ხელებით სკამის საზურგეს დაეყრდენი, ტანი 4-ჯერ ჩაზნიქე, ჩაისუნთქე. დაუბრუნდი საწყის მდგომარეობას, ამოისუნთქე. გაიმეორე 4-6-ჯერ.

5. კედელს ზურგით და კეფით მიეყრდენი. მკლავები დაუშვი და ხელისგულები კედელს მიადე. გააკეთე ბუქნი 6-8-ჯერ. ჩაბუქნის დროს ამოისუნთქე, გამართვისას—ჩაისუნთქე.

ამ ვარჯიშების შემდეგ სულ ცოტა 30 წამი ადგილზე იარე.

## სარჩევი

გორშკოვი ი. დიდი, ახლობელი, უბრალო ადამიანი (მოთხრობა) . . . . . 1
ვიქტორინა — კონკურსი . . . . . 4
ხეთაგურია მზია — ზურიკოს წყარო (მოთხრობა) 5
მგელაძე ნარგიზა — ყოველი მოქალაქე ვალდებულია (ნაკვეთი) . . . . . 7
იანაკოპულო ფოტულა — პარტიზანი ქალი (ლექსი) 9
ჩვენთან სტუმრად არის ლიტვის სსრ საბავშვო ჟურნალი „ქვაიგჟდუტე“ . . . . . 10
აისი . . . . . 24
კლდიაშვილი გურამ — ჭაბუკის შეცდომა (პიესა) 26
მხედრიონი . . . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . . . 30
საზრიანის ხელში . . . გარეკანის . III
ცხრაკლიტული . . . გარეკანის . III

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ედ. ამბოკაძისა.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლომიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გიორგი ძლიბაძე, ნოდარ შამანაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი). ლევან ჩიძვანაია.

ჩვენი მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-03 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18/ I-74 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/I-75 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.
შეკვ. № 4159 ტირ. 137.020. უე 01703.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „პიონერის" ანკეტა

ბავშვებო, რედაქცია გთხოვთ შეძლებისდაგვარად გასცეთ პასუხები აქ დასმულ კითხვებს.

თქვენი პასუხები დიდად დაგვეხმარება მუშაობაში და ჟურნალს კიდევ უფრო მიმზიდველსა და საინტერესოს გახდის.

1. რომელ კლასში ხარ, რამდენი ხანია კითხულობ „პიონერს"?

2. რომელი განყოფილება მოგწონს? რომელი არ მოგწონს?

3. გაკმაყოფილებს თუ არა ჟურნალში გამოქვეყნებული მხატვრული ლიტერატურის დონე?

4. გეხმარება თუ არა ჟურნალი პიონერულ მუშაობაში?
5. აკმაყოფილებს თუ არა ჟურნალი შენს მოთხოვნებს ასაკობრივად?

6. კიდევ რა განყოფილებების შემოღებას ისურვებდი ჟურნალში?

7. მოგწონს თუ არა ჟურნალის მხატვრული გაფორმება?

8. გეხმარება თუ არა ჟურნალი მომავალი პროფესიის არჩევაში?

9. 1974 წლის ჟურნალების რომელმა მასალამ მოახდინა შენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება?

10. რა არ მოგეწონა 1974 წლის „პიონერში"?

11. არის თუ არა ჟურნალი შენი ნამდვილი მეგობარი და მეგზური?

12. დავუშვათ ერთი წუთით, რომ შენ ჟურნალის რედაქტორი ხარ, რას გააკეთებდი მისი გაუმჯობესებისათვის, რა ახალ განყოფილებებს შემოიღებდი, რა ახალ მასალებს მოათავსებდი ჟურნალში?

13. მოგეწონა თუ არა ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალ „აისის" შემოღება და რა საკითხებზე ისურვებდი მის ფურცლებზე მსჯელობის გაშლას?

14. შენს გარდა კიდევ ვინ კითხულობს შენს ოჯახში „პიონერს"?

**შეავსეთ ანკეტა და გამოგზავნეთ მისამართით:**

თბილისი, 380008. ლენინის ქ. № 14. „პიონერის" რედაქცია.
„ანკეტა."



ნინო ჩხაიძე, 9 წ. გასეირნება პეიზაჟი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76157